



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ზიანისა და ზარალის კატეგორიების ურთიერთგამიჯვნის

პრობლემა და ანაზღაურების საფუძვლები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

თამარ გელუკაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

დავით სუხიტაშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
თავი II ზიანის/ზარალის/ ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითადი ფორმა ქონებრივ ურთიერთობებში	12
2.1. ზიანის ანაზღაურების ცნება და შინაარსი.....	13
2.2. ზიანის სახეები.....	17
2.3. ზიანისა და ზარალის ურთიერთმიმართება	20
2.4. რეალური/ფაქტობრივი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი	24
2.5. ზიანის/ზარალის მოცულობის განსაზღვრა.....	28
თავი III პასუხისმგებლობის სხვა ფორმები ქონებრივ ურთიერთობებში	32
3.1. პირგასამტეხლო.....	34
3.2. ბე.....	38
3.3. პროცენტის გადახდევინება ფულადი ვალდებულების	41
შეუსრულებლობისათვის.....	41
თავი IV პასუხისმგებლობის ფორმები პირადი არაქონებრივი	43
უფლების ხელყოფისათვის.....	43
4.1. ზოგადი დებულებები	45
4.2. მორალური ზიანის ანაზღაურება პირადი არაქონებრივი	48
სიკეთის ხელყოფისათვის	48
თავი V კვლევის შედეგები.....	55
დასკვნა	59
ბიბლიოგრაფია.....	61

ანოტაცია

ნაშრომს, რომელსაც წარმოგიდგენთ, განხილულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმის, ზიანისა და ზარალის კატეგორიების ურთიერთგამიჯვნის პრობლემა და ანაზღაურების საფუძვლები. ასევე, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოწესრიგების სფერო.

საყურადღებოა, რომ დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და ზოგადად სამოქალაქო სამართალი, ზიანისა და ზარალის ზუსტ დეფინიციას და განმარტებას არ გვთავაზობს. თუმცა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა ფორმებთან ურთიერთშეჯერებით, ზოგადად მისი შინაარსის განსაზღვრა კანონმდებლობის მიხედვით ადვილად შესაძლებელია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმები არსებობს, რომელთაგან ყველაზე აქტუალური და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფორმაა ზიანი (ზარალის) ანაზღაურება. მისი განსაკუთრებულობა და აქტუალურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გვაქვს სახეზე, შედეგად შესაბამისი პასუხისმგებლობაც დგება. ეს შესაბამისი პასუხისმგებლობა კი შესაძლებელია, რომ ზიანის (ზარალის) ანაზღაურების დაკისრებას გულისხმობდეს.

ნაშრომის ძირითადი მიზანიც განსახილველი თემის კვლევაში მდგომარეობს. კვლევაში მოცემულია ქონებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობის ფორმების, ძირითადად კი ზიანის (ზარალის) ანაზღაურების როგორც ადრინდელი, ასევე მოქმედი საკანონმდებლო რეგულირება და მათ შორის არსებული ხარვეზები, რომელიც ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა. ამასთანავე, ნაშრომში განხილულია პასუხისმგებლობის ფორმები არაქონებრივ ურთიერთობებშიც, კერძოდ, ყურადღება გამახვილებული იქნება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე და მისი ანაზღაურების საფუძვლებზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა და სამოსამართლო სამართლის განვითარება, რომელიც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილად დახვეწასა და არსებული სამართლებრივი პრობლემების აღმოფხვრას ხელს უწყობს. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სამართლის სფეროში მოღვაწე როგორც ქართველი, ისე სხვა ქვეყნის სამართლის მეცნიერ-პროფესორთა შეხედულებები, განხილვები და განმარტებები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მათ შორის არაერთხელ გამხდარა დისკუსიისა და დავის საგანი.

Annotation

The present paper reviews one of the forms of public liability, problem of separation of damage and loss categories and basics of compensation as well as the associated field of legal regulation.

It is notable that the existing Civil Code of Georgia and generally the Civil Law do not provide an exact definition and explanation of damage and loss. However, together with the adjustment with the other forms of civil responsibility, generally definition of its content under the law is easy.

It is noted that in accordance with the Georgian Civil Law, there are different forms of public liability, from which the most actual and especially important form is compensation for damages (loss). Its specific character and actuality is that when non-fulfillment or improper fulfillment of contractual obligations between the parties occurs, therefore the respective responsibility is originated. This respective liability may include the imposition of compensation.

The main goal of the paper is within the study of topic subjecting to discussion. The study gives the forms of responsibility in property relations, basically both the previous and current legislative regulation of compensation for damages (loss) and the errors therein, which was always the subject of controversy. Herewith, the paper reviews the forms of liability in non-property relations too; privately, compensation for moral damage and fundamentals of its compensation will also be highlighted. Besides, contemporary court practice and development of judicial law is very important, which will support the comprehensive improvement of legislative framework and eradication of existing legal problems. Opinions, discussions and explanations of both Georgian and foreign scientists working in the field of law deserve a special mention in connection to the given subject matter, which has been the subject of discussion and dispute repeatedly.

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიოში, საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, თანდათან იზრდება ისეთი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების რიცხვი, რომლებიც ვალდებულებითი სამართლის შემადგენელი ნაწილია. ის ფაქტი, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების რაოდენობა იზრდება, იმას არ ნიშნავს, რომ ვალდებულება ყოველთვის კეთილსინდისიერად და ჯეროვნად სრულდება. განსახილველი თემის აქტუალობაც სწორედ ამაში მდგომარეობს.

დასახული მიზნები და ამოცანები. როგორც ვიცით, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილისაგან შედგება, რომელიც სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებს მოიცავს. სახელშეკრულებო ურთიერთობას საფუძვლად მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება უდევს, რომელიც მათ კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს და ვალდებულებებს ანიჭებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს დაარღვევს, ეს უკვე სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველია. საინტერესოა, არასახელშეკრულებო (დელიქტური) ურთიერთობების დროს როგორ ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია უშუალოდ ზიანის მიყენების ფაქტი, ამ დროს მხარეებს შორის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, როგორც ეს სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაშია. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სამართლის მეცნიერებს შორის არაერთი დისკუსია გაიმართა და შესაბამისად განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობა ზუსტად განისაზღვროს და გაიმიჯნოს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამართლის მეცნიერებაში მათ შორის გამიჯვნის საკითხი გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოადგენს.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფორმებს ქონებრივ ურთიერთობებში წარმოადგენს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა, ბეს დაკარგვა ან ორმაგი ბეს გადახდა და ა.შ. აქ ჩამოთვლილ პასუხისმგებლობის ფორმებს შორის დღეისათვის, განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, მათი ურთიერთმიმართება და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ასევე კითხვის ნიშნებს აჩენს. აქვე ისმის კითხვა, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ და გავმიჯნოთ ზიანი

და ზარალი? არსებობს თუ არა მათ შორის გამიჯვნის პრობლემა? რას მოიცავს ზიანი როგორც ცალკე აღებული პასუხისმგებლობის ფორმა ან ზარალი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემაც ნაშრომის მთავარი მიზანია.

ზიანის (ზარალის) ანაზღაურებასთან ერთად აუცილებლად უნდა ვახსენოთ პასუხისმგებლობის შემდეგი ფორმა - პირგასამტეხლო, რომელმაც დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, როგორც პასუხისმგებლობის ფორმამ. საინტერესოა მისი ორგვარი დანიშნულებაც და მისი ზარალის ანაზღაურებასთან ურთიერთდამოკიდებულებაც. თუმცა, არანაკლებია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მისი შემცირების საკითხი. ამასთან, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკაც შესაძლებლობას გვაძლევს გავცნოთ და განვიხილოთ განმარტებები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც რთულად გადასაწყვეტი და პრობლემურია, თუნდაც პირგასამტეხლოსთან ან ბესთან მიმართებაში. მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ ასევე ბეს, როგორც პასუხისმგებლობის ფორმას, მის არაერთგვაროვნებას და დანიშნულებას ზარალთან მიმართებაში.

ზემოთაღნიშნულის გარდა, ნაშრომის ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენს პასუხისმგებლობის ფორმები პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფისას. ამ შემთხვევაში იგულისხმება ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანი. ამ დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ არაქონებრივი ზიანის დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ამიტომ ამასთან დაკავშირებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და ზოგადად, სამართლის მეცნიერებაში მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერ-პროფესორების განხილვები და შეხედულებები, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც მორალური ზიანის შინაარსის შესახებ შესაბამის განმარტებებს გვაძლევს. აქვე საინტერესოა, როდესაც პირის მიერ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა ხდება, როგორ უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. ასევე, რა შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს პირს ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის შემდეგ, ნაშრომის მიზანია ზოგადად წარმოჩინდეს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობის ფორმების არსი და დანიშნულება. თუმცა, მთავარ დასახულ მიზანს მაინც, პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმის, ზიანისა და ზარალის კატეგორიების გამიჯვნა და მათი ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს, რომელიც როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე პრობლემური საკითხია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოვლინდეს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის გზები, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე.

მოცემული ნაშრომის კვლევის ამოცანაა იმ საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და გაანალიზება, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმების - ზიანისა და ზარალის შესახებ არსებობს. აგრეთვე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ხარვეზებისა და სამართლებრივი პრობლემების გამოვლენა, მათი გაანალიზება და განხილვა. ეს კი თავისთავად, სამომავლოდ პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისა და განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს.

კვლევის მეთოდები. საკვლევი თემის დამუშავებისას გამოყენებული იქნა სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა მეთოდი, უმთავრესად კი გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, სისტემური და ლოგიკური ანალიზის მეთოდები. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის მეშვეობით წარმოდგენილია ქართული კანონმდებლობის შედარება სხვა ქვეყნების, კერძოდ, გერმანიის, რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის კანონმდებლობასთან. ხოლო სისტემური და ლოგიკური ანალიზის მეთოდების მეშვეობით ნაშრომში მოცემული თემა განხილულია სისტემურად და სტრუქტურულად, ამასთანავე, წარმოდგენილია კონკრეტული სამართლებრივი ნორმების როგორც ადრინდელი განვითარების ეტაპები, ის თუ როგორ იყო მოწესრიგებული ესა თუ ის საკითხი მაგალითად, 1964 წლის სამოქალაქო კოდექსით, ისე დღეს მოქმედი სამართლებრივი რეგულირება.

ნაშრომის სტრუქტურა. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ხუთ თავს. პირველი თავი ეთმობა ამავე ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვას. მეორე თავში განხილულია ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითადი ფორმა ქონებრივ ურთიერთობებში. ამავე თავის ქვეთავებში განხილულია ზიანის ანაზღაურების ცნება და შინაარსი, ზიანის სახეები, ზიანისა და ზარალის ურთიერთმიმართება, რეალური/ფაქტობრივი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი, ასევე ზიანის (ზარალის) მოცულობის განსაზღვრა. მესამე თავი ეთმობა პასუხისმგებლობის სხვა ფორმებს ქონებრივ ურთიერთობებში, ესენია: პირგასამტეხლო, ბე და პროცენტის გადახდევინება ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. რაც შეეხება მეოთხე თავს, აქ უკვე განხილულია პასუხისმგებლობის ფორმები პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისათვის, კერძოდ კი, მორალური ზიანის ანაზღაურება პირადი არაქონებრივი სიკეთის ხელყოფისათვის. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ძირითადი ტექსტი და საკითხის კვლევა გადმოცემულია მე-2, მე-3 და მე-4 თავებში. რაც შეეხება მეხუთე თავს, იგი წარმოადგენს კვლევის შედეგებს და დაბოლოს, დასკვნა, სადაც ნაშრომი მთლიანად არის შეჯამებული.

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

ქართული სამართლის მეცნიერებისათვის, ისევე როგორც, სხვა ქვეყნების სამართლის მეცნიერებისათვის, ვალდებულებით სამართალს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც, იგი სამოქალაქო სამართლის ფართო ნაწილს შეადგენს. სწორედ ამ ფაქტის გამო არის, რომ იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში წარმოდგენილია როგორც ზოგადი და კერძო ნაწილი. ის აწესრიგებს ისეთ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულების შესრულებასთან, მის დარღვევასა და შეწყვეტასთან, ზიანის (ზარალის) მიყენებასთან, რაც ძირითადად მისი ანაზღაურების მოვალეობას წარმოშობს, უსაფუძვლო გამდიდრებასთან, დელიქტურ ვალდებულებებთან და ა.შ.

როგორც ვიცით, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება ქონებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობის ძირითად ფორმას, მაგრამ ამავე დროს, სამართლის მეცნიერებისათვის რთულ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხს მეცნიერებმა არაერთი სახელმძღვანელო, სამეცნიერო ნაშრომი, სტატიები და პუბლიკაციები მიუძღვნეს. გარდა ამისა, საყურადღებოა ნორმატიული აქტები და სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც მოცემულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხილული და შესწავლილი იქნა.

წინამდებარე ნაშრომის თითოეულ თავში სხვადასხვა მეცნიერ-პროფესორთა ნაშრომები და მეცნიერული კვლევაა წარმოდგენილი. ნაშრომის მეორე თავში, რომელიც ზოგადად ზიანის ანაზღაურებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება, გამოყენებულია ზურაბ ძლიერიშვილის, გიორგი ცერცვაძის, ირაკლი რობაქიძის და სხვათა ავტორობით არსებული სახელმძღვანელო - „სახელშეკრულებო სამართალი“. აღნიშნულ სახელმძღვანელოში გიორგი ცერცვაძე დეტალურად განიხილავს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, თუ როგორია ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი შინაარსი, ზიანის ცნების ჩამოყალიბების სირთულეს, ზიანის სახეებსა და მის საკანონმდებლო რეგულირებას, რეალურ (საკომპენსაციო) ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს და ა.შ.

ზიანის სახეები, კერძოდ, რეალური (საკომპენსაციო) ზიანი, პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი განხილული აქვს მზია თოდუას და ჰუბ ვილემს სამეცნიერო ნაშრომში - „ვალდებულებითი სამართალი“. ასევე, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოცულობასა და ოდენობას განიხილავს გიორგი რუსიაშვილიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალ კომენტარში, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების, ასევე კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტების მიერ არის შექმნილი და დაფინანსებული.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობაზე გვესაუბრება ზურაბ ახვლედიანი თავის წიგნში - „ვალდებულებითი სამართალი“. ავტორი ზიანის ანაზღაურებას სხვა სახეებთან ერთად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ განიხილავს. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზიანის ანაზღაურების სახით ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, რამდენად არსებობს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა (უმოქმედობასა) და დამდგარ უარყოფით შედეგს შორის.

საინტერესოა იან კროპჰოლერის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარიც. აღნიშნულიდან, მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია ის საკითხები, რომლებიც ზიანის ანაზღაურების პრინციპებს შეეხება, რაც გულისხმობს როგორც ზიანის ნატურით ანაზღაურების საკითხს, ისე ფულადი სახით ანაზღაურებას.

ზიანის (ზარალის) და ზოგადად პასუხისმგებლობის ფორმებთან დაკავშირებული არსებული საკითხები დეტალურად არის განხილული დავით სუხიტაშვილისა და თეა სუხიტაშვილის წიგნში - „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, რომელიც ნაშრომის თითოეულ თავში აქტიურად არის გამოყენებული. აღნიშნული წიგნი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და ფუნქციები, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლები და პირობები, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაზე გვესაუბრება ჰაინ ბიოლინგი და პეტერ ლუტრინგჰაუსი ნაშრომში - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი“, სადაც აღნიშნულია, რომ პრაქტიკაზე დაყრდნობით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს: ობიექტური, სუბიექტური, ნაწილობრივი ან სრული.

წიგნში - „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“ განხილულია ასევე მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი და პასუხისმგებლობის ფორმები ქონებრივ ურთიერთობებში. კერძოდ, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, პირგასამტეხლო და ბე. აგრეთვე, პირადი არაქონებრივი სიკეთის დაცვა, მიზეზობრივი კავშირი, ბრალი სამოქალაქო სამართალში და ა.შ.

ლიტერატურის მიმოხილვისას უნდა აღვნიშნოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც ნაშრომის რამდენიმე თავში ხშირად არის გამოყენებული. სამოქალაქო კოდექსი ექვს წიგნს მოიცავს და თითოეული წიგნი დაყოფილია რამდენიმე კარად. პირველი წიგნი სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს წარმოადგენს, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, გარიგებებს, უფლების განხორციელებას და სამოქალაქო ვადებს შეეხება. მეორე წიგნი

სანივთო (ქონებრივი) სამართალია და ქონებასთან, მფლობელობასთან, საკუთრებასთან, საჯარო რეესტრთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს. მესამე წიგნი ვალდებულებით სამართლის ზოგად და კერძო ნაწილს არეგულიებს. ზოგადი ნაწილი თავის მხრივ მოიცავს ისეთ საკითხებს როგორცაა: სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი დებულებანი, ვალდებულების შესრულება, ვალდებულების დარღვევა, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები, ვალდებულების შეწყვეტა, კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში. რაც შეეხება კერძო ნაწილს, იგი მოიცავს სახელშეკრულებო სამართალს, კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს და დელიქტურ ვალდებულებებს. მეოთხე წიგნი ინტელექტუალური საკუთრების სამართალია, რომლებიც საავტორო სამართლის ზოგად დებულებებსა და სამრეწველო საკუთრების სამართალს შეეხება. მეხუთე წიგნი საოჯახო სამართალია, რომელიც აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ქორწინება, მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობა, მეურვეობა და მზრუნველობა. დაბოლოს, მეექვსე წიგნი, რომელიც მემკვიდრეობით სამართალსა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერ-პროფესორების ლადო ჭანტურიასა და ბესარიონ ზოიძის მიერ მომზადებული სამოქალაქო კოდექსის კომენტარების მესამე წიგნი, რომელიც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მომწესრიგებელი ნორმების, კერძოდ კი, 316-476-ე მუხლების კომენტარებს გვთავაზობს.

სამეცნიერო სტატიებს შორის აღსანიშნავია ეკატერინე ნინუას, ქეთევან მესხიშვილის, ქეთევან ქოჩაშვილისა და მიხეილ ბიჭიას სამეცნიერო სტატიები. მაგალითად, ეკატერინე ნინუა თავის სტატიაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის თავისებურებებზე გვესაუბრება. ქეთევან მესხიშვილი პირგასამტეხლოს თეორიული ასპექტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ საუბრობს. იგი თავის სტატიაში დეტალურად განიხილავს პირგასამტეხლოს ცნებას, არსს, დანიშნულებასა და ფუნქციას და ა.შ. ქეთევან ქოჩაშვილს განხილული აქვს ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა). იგი ბრალის გარდა, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობების დახასიათებისას პირველ რიგში მართლწინააღმდეგობას განიხილავს, როგორც სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფას, კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას და ა.შ. რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

რაც შეეხება ნაშრომის მეოთხე თავს, რომელიც პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფას და ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას შეეხება, ამ შემთხვევაში

მნიშვნელოვანია მიხეილ ბიჭიას სამეცნიერო სტატია, სადაც პირადი უფლებების ხელყოფისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობას განიხილავს ევროპულ სტანდარტებთან. იგი პირველ რიგში, რამდენიმე პირად არაქონებრივ უფლებაზე, შემდეგ კი, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლებსა და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებზე და ა.შ. გვესაუბრება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საუბრობს ასევე თავის სხვა სტატიაში - „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“, რომელიც აგრეთვე გამოყენებულია მოცემულ ნაშრომში.

პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ, ასევე მათი ხელყოფით გამოწვეულ არაქონებრივ ზიანთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე, თევდორე ნინიმის განხილვები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პირველ წიგნში. პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ საუბრობს ასევე ლადო ჭანტურია წიგნში - „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, რომელიც ძირითადად სამოქალაქო სამართლის ზოგად დებულებებს შეეხება.

დაბოლოს, წინამდებარე ნაშრომში ქართული სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზისათვის გამოყენებულია რუსეთის სამეცნიერო ლიტერატურა ბრაგინსკის და ვიტრიანსკის ავტორობით. აგრეთვე, ამ თავში დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, ნაშრომში გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკაც, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები.

თავი II ზიანის/ზარალის/ ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის ძირითადი ფორმა ქონებრივ ურთიერთობებში

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა ფორმებს შორის ერთ-ერთი მთავარია ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ კრედიტორისათვის (დაზარალებულისათვის) სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ურთიერთობებში ყველაზე უარყოფითი შედეგის გამოხატულებაა მათთვის ზიანის დადგომა. ამგვარი უარყოფითი შედეგის გამოსწორების საშუალება კი ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაა. ზიანის დადგომა და მისი ანაზღაურება სამოქალაქო სამართალურთიერთობის როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობის ფართო სფეროს მოიცავს. ეს კარგად ჩანს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება” და ასევე ამავე კოდექსის 992-ე მუხლიდან: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი”.¹ ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც ქართულ სამოქალაქო კოდექსშია მოცემული, შეიძლება ჩაითვალოს მთელი კერძო სამართლისათვის საერთო ზოგად პრინციპად. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები (408-415) თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტის შედეგად წარმოშობილ ზიანთან მიმართებაში. მათში გადმოცემულ პრინციპებს ემყარება როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება.²

ზიანის დადგომა ყოველგვარი სამოქალაქო უფლების დარღვევით შეიძლება იყოს გამოწვეული. შესაბამისად, ცალკეული გამონაკლისების გარდა ზიანის ანაზღაურება, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა, სამართალდარღვევის ყველა პირობებში გამოიყენება, ამიტომ ის სამოქალაქო სამართალში ზოგად პასუხისმგებლობად არის ცნობილი. რაც შეეხება პასუხისმგებლობის სხვა ფორმებს, ისინი პასუხისმგებლობის სპეციალურ ფორმებად იწოდებიან.³

¹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი”, 2016 წ. 166.

² ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი”, 2014 წ. 645.

³ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი”, 2016 წ. 166.

2.1. ზიანის ანაზღაურების ცნება და შინაარსი

ზიანის ერთიანი და უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. სირთულეს განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომპლექსური და არაერთგვაროვანი ხასიათი. ერთი მხრივ, ტერმინის ყოფითი მნიშვნელობა თითქოს ყველასათვის გასაგებია და მას სამართლებრივი განსწავლულობა სულაც არ სჭირდება. მეორე მხრივ კი, ზიანის ცნების ზუსტ დეფინიციასე კონკრეტული სამართლებრივი შედეგი და ადამიანთა ბედია დამოკიდებული. ზოგიერთი მართლწესრიგი და მის საზღვრებში განვითარებული სასამართლო პრაქტიკა საერთოდ უარს ამბობს ზიანის ზოგადი ცნების ჩამოყალიბებაზე და შემოიფარგლება მისი ცალკეული ნიშნების გამოყოფით. მაგალითად, ფრანგული სასამართლოები ხშირად მიუთითებენ, რომ ზიანი უნდა იყოს პირდაპირი, განსაზღვრული და კონკრეტულ პირზე მიმართული (პერსონალური).⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევიან. მისი განმარტება სასამართლო გადაწყვეტილებებში და აკადემიურ ნაშრომებში გვხვდება. ვერც სასამართლო და ვერც იურიდიული დოქტრინა უნივერსალური პასუხის გაცემას ვერ ახერხებს. ზიანის ცნების პრობლემურობის კარგი ილუსტრაციაა ევროპული კერძო სამართლის უნიფიკაციის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში ზიანის ცნებასთან დაკავშირებული ისტორია. 2008 წელს გამოქვეყნებულ პირველ ვარიანტში ზიანი განმარტებული იყო, როგორც „ნებისმიერი უარყოფითი შედეგი დანაკარგებისა და დაზიანების ჩათვლით“. დანაკარგისა და დაზიანების ცნებების შემოტანამ თავისთავად მოითხოვა ამ ორი უკანასკნელი ტერმინის შინაარსის დაზუსტება. დანაკარგი შეიძლება იყოს ეკონომიკური (ნებისმიერი შემოსავლის, ან სარგებლის დაკარგვა, ასევე ქონების ფასის შემცირება და ა.შ.) ან არაეკონომიკური (მიყენებული სულიერი, ან ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა). რაც შეეხება „დაზიანების ცნებას, მისი განმარტება არ ჩათვალა საჭიროდ, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მისი გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც საუბარია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მისი სხეულისათვის მიყენებულ დაზიანებაზე. 2009 წლის საბოლოო ვარიანტში დანაკარგისა და დაზიანების ცნებები გაქრა. სავსებით სამართლიანად იქნა მიჩნეული რომ სიტყვათაშეთანხმება - „ნებისმიერი უარყოფითი შედეგი“ - თავისთავად გულისხმობს როგორც „დანაკარგს“, ისე „დაზიანებას“.⁵

⁴ ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 646.

⁵ ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 646.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურებას საერთო მნიშვნელობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამოიყენება ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის დროს (გარდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისები), თუნდაც კონკრეტული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები არ მიუთითებდნენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე.⁶

ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ქართული ნორმების ნაწილი დისპოზიციურია, ნაწილი - იმპერატიული. ნორმის ამა თუ იმ დანაწესიდან გადახვევის შესაძლებლობა თვით ნორმის შინაარსიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს. მაგალითად, სადავო არ არის 410-ე მუხლის დისპოზიციურობა, რადგან სხვაგვარი რეგულირების დადგენა დასაშვებია როგორც კანონით, ისე მხარეთა შეთანხმებით. მეორე მხრივ, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურებასაც, ბათილი იქნება, თუ შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება არ არსებობს. ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი იმპერატიული ნორმები ადგენენ ანაზღაურების, როგორც სამართლებრივი ბერკეტის გამოყენების ზოგად ფარგლებს, დისპოზიციური ნორმები ასრულებენ გარკვეული გზამკვლევის ფუნქციას და სთავაზობენ მხარეებს პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო გზებს.⁷

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოთქმულია აზრი, რომ ზოგადად ზიანის გამოწვევი მიზეზი არის მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან ერთი პირის მიერ მეორისათვის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული უარყოფითი მატერიალური შედეგი. ზოგადად ზიანის ასეთ ფორმულირებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან ამით ბუნებაში არსებულ ობიექტურ ფაქტებსაც ზიანის წარმოშობის სამართლებრივ საფუძვლებთან - მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით და სამართალდამრღვევის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეულ უარყოფით შედეგთან ვაიგივებთ. ზიანის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები უნდა გავმიჯნოთ სხვა საფუძვლით წარმოშობილი ზიანისაგან. ზიანი ზიანად რჩება მაშინაც, როცა იგი ბუნების ძალით, მართლზომიერი მოქმედებით და მაშინაც, როცა იგი თვით დაზარალებულის მოქმედებით არის გამოწვეული. ამ თვალსაზრისით, ზიანი ფართო მნიშვნელობისაა, ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგომისათვის ტერმინი „ზიანი“ ვიწრო მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ, როცა იგი

⁶ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 1999 წ. 64-65.

⁷ ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 645.

გამოწვეულია ვალდებულების შეუსრულებლობით ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით.⁸ ზიანის ანაზღაურება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საშუალებაა, რომლის გამოყენებითაც სამართალი სამოქალაქო ბრუნვაში ბალანსსა და სტაბილურობას უზრუნველყოფს. ბუნებითი სამართლიდან გამომდინარე ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს, ექვევებ არასოდეს დამდგარა, თუმცა ამ პრინციპის რეალიზაცია უპირობოდ ვერ მოხდება. ზიანის ანაზღაურების, როგორც სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის ნებისმიერი მართლწესრიგი ითვალისწინებს წინაპირობებს, რომელთა არსებობა ან არარსებობა განსაზღვრავს ანაზღაურების დასაშვებობას, მისი ოდენობის ადეკვატურობას მიყენებულ ზიანთან და ა.შ. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობებზე საუბრისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე არსებითი ელემენტი, რომლებიც გავლენას ახდენენ სამართლებრივ შედეგზე. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი წინაპირობაა ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი პირის სუბიექტური დამოკიდებულების, ანუ მისი ბრალეულობის საკითხის გარკვევა. პირის ქმედება მართლწესრიგის მიერ სავალდებულოდ მიჩნეული ნორმების საწინააღმდეგოდ უნდა იყოს მიმართული. თუ პირს თავისი ქმედებით კანონი არ დაურღვევია მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დაუშვებელია. ზიანის ანაზღაურება არ არსებობს ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ქმედების გარეშე. ქმედება კი გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ასევე თავის შეკავებას. ამდენად, ცნობიერი უარი მოქმედებაზე ასევე შეიძლება ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდეს. ქმედებას პირდაპირი კავშირი (მიზეზობრივი) უნდა ჰქონდეს იმ უარყოფით შედეგთან, რომლის აღმოფხვრაც ზიანის ანაზღაურების უპირველესი დანიშნულებაა.⁹

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დადგება განსაზღვრული პირობების (საფუძველების) არსებობისას. გარდა იმისა, რომ უნდა არსებობდეს ზიანი, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ზოგიერთ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენა ძნელი არ არის.¹⁰

მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, სხვა სიტყვებით, არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და

⁸ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 167-168.

⁹ ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელმწიფო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 677-678.

¹⁰ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 1999 წ. 67-68.

მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე, სხვანაირად, იმაზე, მოვალე თავად აცნობიერებდა თუ არა თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს. მოვალე ბრალეულად დაარღვევს თავის ვალდებულებას, თუ ბრალის გარეშე, ვალდებულების დარღვევა მაინც მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია.¹¹

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით იქნება გამოწვეული. კოდექსის ენაზე თუ ვიტყვით, ანაზღაურდება ის ზიანი, რომელიც „წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“.¹²

თანამედროვე პოზიტიური სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ბრალის ცნებას, მას განსაზღვრავს დოქტრინა, რომელიც უარყოფს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას და მიიჩნევს, რომ ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნების დაცვა. შესაბამისად, პირის ბრალეულობის დასადგენად საჭიროა გაირკვეს, გამოავლინა თუ არა მან ნამდვილი მეურნისათვის, ჭეშმარიტი მესაკუთრისათვის დამახასიათებელი მზრუნველობა. გერმანულ ცივილისტურ მეცნიერებაში ბრალი განიმარტება როგორც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მომცველი ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო და სუბიექტურად გაკიცხვადი ქმედება ქმედუნარიანი პირისა; ფრანგული სამართლებრივი დოქტრინის თანახმად, ბრალეული მოქმედება სახეზეა, თუ საქმე გვაქვს აკრძალულ მოქმედებასთან და კანონით პირზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევასთან, ხოლო რუსული სამოქალაქო სამართლებრივი მეცნიერება ბრალის ცნებაში მოიაზრებს პირის მიერ იმ შესაძლო ზომების მიუღებლობას, რაც საჭირო იყოს მისი ქმედების არასასურველი შედეგების ასაცილებლად და რაც მასზე დაკისრებული მოვალეობებისა და სამოქალაქო ბრუნვის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით საჭირო მზრუნველობისა და წინდახედულობის გარკვეული ხარისხით გამოჩენისას შეეძლო განეხორციელებინა. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირი არ ჩაითვლება ბრალეულად, თუ დადგინდება, რომ გულმოდგინებისა და წინდახედულების იმ ზომით გათვალისწინებით, რაც მოეთხოვებოდა პირს ვალდებულების ხასიათისა და ბრუნვის პირობების მიხედვით, მან ყველა ზომა მიიღო ვალდებულების სათანადოდ შესასრულებლად. ბრალის დოქტრინისეული ცნებიდან იკვეთება, რომ ის მოიცავს მართლწინააღმდეგობას და მის შეცნობას. ბრალეულად მოქმედ პირს გააზრებული აქვს ის, რომ მისი ქმედებით ილახება სხვისი უფლება და ხელყოფას არ გააჩნია კანონიერი საფუძველი. ქართულ ცივილისტურ დოქტრინაში

¹¹ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001 წ. 364-366.

¹² ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001 წ. 368.

არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბრალის ცნება. მიზანშეწონილია, არსებობდეს ბრალის განსაზღვრება, რომელიც შესაძლოა, ასე ჩამოყალიბდეს: ბრალი არის ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებით და სურვილით, ან სურვილის გარეშე, სამოქალაქო მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულების დაუცველად.¹³

2.2. ზიანის სახეები

ვალდებულების წარმოშობის თითოეული საფუძველი (ხელშეკრულება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება) მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას დაცვის ადეკვატური სამართლებრივი საშუალებებით უზრუნველყოფს. სამართალი თავიდანვე ითვალისწინებს დადგენილი ნორმების დარღვევის შესაძლებლობას და თავის ფუნქციას სწორედ მათ თავიდან აცილებასა და უკვე დაფიქსირებული დარღვევის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრაში ხედავს. ზიანი შეიძლება სახეზე გვქონდეს, მიუხედავად იმისა, თუ ვალდებულების წარმოშობის რომელი საფუძველი არეგულირებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (კანონსმიერ) ვალდებულებებად ქართული სამოქალაქო კოდექსის სისტემის შემადგენელი ნაწილია, ამ კლასიფიკაციის ზიანთან მიმართებაში გამოყენება დასაშვებად უნდა ჩაითვალოს. ისევე, როგორც ვალდებულება შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო, მისი დარღვევით გამოწვეული ზიანიც შეიძლება მომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან ან კანონიდან.¹⁴

სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებაზე საუბრისას აუცილებელია გაირკვეს ის მიზანი, რომელიც შეიძლება ანაზღაურების ინსტიტუტს ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განასხვავებენ „ანაზღაურებას შესრულების სანაცვლოდ“, და „ანაზღაურებას ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის“. ეს ორი სიტყვათა შეთანხმება ანაზღაურების მიზნის განსხვავებულ ასპექტებს უსვამს ხაზს. პირველ შემთხვევაში ანაზღაურება უნდა განვიხილოთ, როგორც შესრულების „ჩანაცვლება“ ეკვივალენტური ღირებულებით. მეორე შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია ანაზღაურების პრევენციულ ან „დამსჯელ“ ფუნქციაზე, რომელიც

¹³ ე. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, თბ., „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009 წ. 88-89.

¹⁴ ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 648-649.

ხელშეკრულების დარღვევის გამო ეკისრება მოპასუხეს. მათ შორის განსხვავება შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ პირველ შემთხვევაში ანაზღაურება, როგორც შესრულების „ჩანაცვლება“, მოიცავდეს მხოლოდ ფაქტობრივად არსებულ ზიანს, ხოლო მეორე შემთხვევაში ითვალისწინებდეს ბრალეული მოვალისათვის დამატებითი თანხის (მაგალითად, პირგასამტეხლოს) ანაზღაურებასაც. სახელშეკრულებო ზიანის წარმოშობა და მისი ანაზღაურების ვალდებულება პირდაპირ და უშუალო კავშირშია ხელშეკრულების დარღვევასთან/შეუსრულებლობასთან, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული შეუსრულებლობა, რომელმაც კრედიტორისათვის უარყოფითი შედეგის დადგომა განაპირობა, წარმოადგენს სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ პირობებს.¹⁵

სახელშეკრულებო ზიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის შედეგია. გამყიდველი, რომელმაც მყიდველს მიაწოდა უხარისხო პროდუქცია, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ამით მიყენებული ზიანი. ასეთივე ვალდებულება ეკისრება გამჩუქებელს, რომელმაც ბოროტი განზრახვით დამალა გაჩუქებული ქონების ნაკლი და ამით დასაჩუქრებულს მიადგა ზიანი. სახელშეკრულებო ზიანის შესაძლო სიდიდე სახელშეკრულებო შესრულების ფარგლებშია. ამიტომაც, მის მიმართ მხარეთა გაუცხოებას ადგილი არა აქვს; არასახელშეკრულებო ზიანის მაგალითია დელიქტური ზიანი, რომელიც შედეგად მოსდევს დაზარალებულის აბსოლუტური უფლების დარღვევას. ამ თვისების გამო, არასახელშეკრულებო ზიანიც შეიძლება ზოგჯერ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან მომდინარეობდეს. მთავარი აქ ისაა, რომ ზიანი რელატიური უფლების დარღვევის რეზულტატი კი არაა, არამედ აბსოლუტური უფლებისა. როცა სიკეთე ერთდროულად სხვადასხვა უფლებათა, კერძოდ, რელატიურ და აბსოლუტურ უფლებათა ობიექტია, მაშინ ეს უკანასკნელი უფლება ფარავს პირველს. არასახელშეკრულებო ზიანი წინასწარ შეუფასებელი ზიანია და მისი ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება იმის მიხედვით, თუ რა ფასეულობის სიკეთე იქნება ხელყოფილი.¹⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მხოლოდ მაშინ განიხილება, როდესაც მოვალე ძირითადად ვალდებულებას აღარ ასრულებს. ასეთ დროს საუბარია, აგრეთვე, შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანზე. ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით მოხდეს. იქნება ეს შემთხვევა, როცა მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება თუ, როდესაც კრედიტორს შესრულების მიმართ აღარ აქვს ინტერესი ვალდებულების დარღვევის გამო. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-2

¹⁵ ზ.ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 650.

¹⁶ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001წ. 366.

ნაწილით კანონი შეუსრულებლობის ყველა შემთხვევას ერთნაირად აწესრიგებს; იგი 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის წინაპირობად განსაზღვრავს არა ვალდებულების დარღვევას, არამედ ვადის გადაცილებას. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასა და ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით განსხვავება არ ვლინდება, ამას ყოველთვის ვადის გადაცილებამდე მივყავართ. შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მოიცავს ყველა იმ ზიანს, რომელიც წარმოიქმნა ვალდებულების დაგვიანებითი შესრულებით. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება რთული იყოს შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანისა და „შესრულების მაგივრად ზიანის ანაზღაურების“ (შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი) გამიჯვნა.¹⁷

სამოქალაქო კოდექსი იცნობს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება, მაშინ როცა არაქონებრივი ზიანი არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგსაც წარმოადგენს. კერძოდ ისეთისა, რომელიც არაა სამოქალაქო ბრუნვის საგანი. ადამიანის სიცოცხლე არ წარმოადგენს ქონებას ცივილისტური გაგებით, მაგრამ მისი ხელყოფით დამდგარი ზიანი ანაზღაურებადია. ახალი სამოქალაქო კოდექსი არაქონებრივი ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპზეა. არაქონებრივი ზიანისათვის უამფარგლებლოდ ხელგაშლილი დამოკიდებულება გაართულებდა სამოქალაქო ბრუნვას და უბრალო წყენისთვისაც კი, ადამიანები მოითხოვდნენ მის ანაზღაურებას. სიახლე ახალი სამართლისა ისაა, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივისაგან დამოუკიდებლად. თუკი ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ისევ ქონებრივი საშუალებებით ხდება, არაქონებრივი ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს სხვა გზებითაც. იმის მიხედვით, თუ ვალდებულების დარღვევა რა სახით ხდება, ცნობილია საკომპენსაციო და მორატორიული ზიანი. პირველი ესაა ზიანი, რომელიც შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას, მეორე სახის ზიანი კი, მოვალის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილებას ახლავს ხოლმე. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ თუკი საკომპენსაციო ზიანისას გამორიცხულია იმავდროულად ვალდებულების შესრულება, მორატორიული ზიანი ამას გამორიცხავს. სამოქალაქო კოდექსი იცნობს რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავლებს, პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს და ა.შ.¹⁸

რეალური ზიანი წარმოადგენს იმ ხარჯების ერთობლიობას, რომელიც გასწია დაზარალებულმა მოვალის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების გამო, ანდა ის შემოსავალია, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც მიიღებდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. პირდაპირი ზიანი წარმოადგენს მოვალის ქმედების უშუალო შედეგს

¹⁷ ჰ. ბილინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, გამომც. „სიესტა“, 2004-2009 წ. 38-42.

¹⁸ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001 წ. 367-368.

(დადებითი ზიანი), რომელიც ანაზღაურდება სრულად. არაპირდაპირი ზიანი წარმოადგენს მოვალის, მესამე პირების მოქმედების და/ან სხვა ფაქტორების შედეგს. ამ სახის ზიანი ანაზღაურდება განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს. (მაგ. სამოქალაქო კოდექსის 742-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რაც ითვალისწინებს ექსპედიტორის დამხმარის არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საკითხს).¹⁹

გარდა ამისა, დელიქტურ სამართალში ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი ზიანი, რომელიც ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებას მოჰყვება შედეგად; სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანი; დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი და სხვა.

2.3. ზიანისა და ზარალის ურთიერთმიმართება

სამოქალაქო სამართალში ტერმინების „ზიანის“ და „ზარალის“ მნიშვნელობა და ურთიერთდამოკიდებულება დღევანდლამდე დაუზუსტებელი და მოუწესრიგებელია. ხშირად სპეციალისტებს შორის დავის საგანიც ხდება. ამ მხრივ უკიდურესად უარყოფითად გამოიყურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. კოდექსი როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში, შეზღუდული თუ სრული პასუხისმგებლობის დროს მხოლოდ „ზიანის“ ტერმინს ხმარობს, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მთავარ საშუალებაზე, ზარალის ანაზღაურებაზე სრულყოფილი გაგების შესაძლებლობას გამორიცხავს.²⁰

უპირველესად ტერმინი „ზიანის“ მნიშვნელობა განვიხილოთ. ტერმინებს „ზიანის მიყენებას“ და „ზიანის ანაზღაურებას“ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი დატვირთვა უნდა მივანიჭოთ. პირველ შემთხვევაში ანუ ზიანის მიყენების ტერმინით სარგებლობისას ყურადღებას ვამახვილებთ და აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, თუ რა საფუძველით წარმოიშვა ვალდებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს როგორც ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობათა მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის წარმოშობილი პასუხისმგებლობა. ზიანის ანაზღაურების ტერმინით სარგებლობისას კი მისი ფუნქციის დანიშნულება

¹⁹ მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006 წ. 46.

²⁰ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 166.

გვანტერებს. შესაბამისად, როცა გადასაწყვეტი გვაქვს საკითხი, რა საფუძვლით წარმოიშობა ესა თუ ის ვალდებულება, „ზიანის მიყენების“ ტერმინით ვისარგებლებთ; ხოლო როდესაც ჩვენს წინაშე უკვე წარმოშობილი ვალდებულების ანალიზის, თვით ვალდებულების მიზნობრივი დანიშნულების აღსრულებაა საჭირო, „ზიანის ანაზღაურების“ ტერმინს გამოვიყენებთ.²¹

ზიანისაგან განსხვავებით ზარალი ზიანის ფულადი შეფასების გამოხატულებაა. შესაბამისად, თუ ზიანის ანაზღაურება ქონების ნატურალური ფორმით აღდგენაა, ზარალის ანაზღაურება ზიანის ფულადი კომპენსაციაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით დადგენილ წესში - ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების თაობაზე, ნაგულისხმევია როგორც ზიანის ნატურით ანაზღაურება, ისე - ფულადი კომპენსაცია, ანუ რეალური ზიანის ანაზღაურება. ამ თვალსაზრისით ზიანისა და რეალური ზარალის მოცულობა ღირებულების თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა იმ განსხვავებით, რომ ზიანის ანაზღაურება ქონებრივი დანაკლისის ნატურით აღდგენაში გამოიხატება, რეალური ზარალის ანაზღაურება კი მისი ფულადი კომპენსაციაა. რეალურ ზარალად განიხილება დაზარალებულის ქონებრივ სფეროში ზიანით გამოწვეული უარყოფითი შედეგის აღსადგენად საჭირო ის ფულადი სახსრები, რაც დაზარალებულმა უკვე გაიღო ან უნდა გაიღოს დარღვეული უფლების, ან დაზიანებული ქონების აღსადგენად. მაგალითად, დაზიანებული ავტომანქანის აღსადგენად საჭირო ხარჯები; ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის აღსადგენად უკვე გახარჯული ან სამომავლოდ სამედიცინო მომსახურებისათვის, წამლების შესაძენად, მკურნალობისათვის საჭირო სხვა აუცილებელი სახსრები და სხვა.²² გარდა ამისა, ზარალი, რეალურ ზარალთან ერთად მიუღებელ შემოსავალსაც მოიცავს, რასთან დაკავშირებითაც დეტალურად, წინამდებარე ნაშრომის სხვა ერთ-ერთ ქვეთავში ვისაუბრებთ.

რომის სამართლიდან მოყოლებული ტრადიციულად ზარალი მოიცავს რეალურ ზარალს და მიუღებელ შემოსავალს. აღნიშნულისაგან განსხვავებით კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები და ინგლისურ-ამერიკული სამართალი ზარალის კიდევ ორ სახეს გამოყოფს - კონკრეტულ და აბსტრაქტულ ზარალს. კონკრეტული ზარალი არის ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით კრედიტორის მიერ ფაქტობრივად უკვე გაწეული ხარჯები. კონკრეტულ ზარალად განიხილება მოვალის მიერ შეუსრულებელი ხელშეკრულების სამაგიეროდ კრედიტორის მიერ მესამე პირთან დადებული ახალი ხელშეკრულებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები. ხოლო აბსტრაქტული ზარალი და მისი გამომანგარიშების წესი მაშინ გამოიყენება, როცა მოვალის მიერ შეუსრულებელი ხელშეკრულების ობიექტს აქვს

²¹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 167.

²² იქვე დასახელებული ლიტერატურა, 169.

საბაზრო (საბირჟო) ფასი. ასეთ შემთხვევაში ზარალის მოცულობა განისაზღვრება სახელმწიფო და საბაზრო ფასს შორის სხვაობით.²³

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ზიანის ანაზღაურების ძირითად საფუძვლებს განსაზღვრავს. ზიანის ანაზღაურების სამართალი ემყარება ნატურით ანაზღაურებისა და სრული ანაზღაურების პრინციპს („ანაზღაურდება ყველაფერი ან არაფერი“): მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც კი ანაზღაურდება მთლიანი ზიანი; ხოლო ზიანის ნატურით ანაზღაურების განვრცობა ხდება კომპენსაციის პრინციპით. დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ფულადი სახით ანაზღაურდება მხოლოდ ქონებრივი ზიანი. ზიანის ნატურით ანაზღაურებისას, დაზარალებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს საწყისი მდგომარეობის აღდგენა იმისგან დამოუკიდებლად, დაზიანებულია მისი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე (მაგ., ერთი მხრივ, მკურნალობის ხარჯები დაზიანებისთვის და, მეორე მხრივ, პატივის შემლახველი გამონათქვამების შეწყვეტა). მაშასადამე, ძირითადი მიზანია დაზარალებული პირის თვითმყოფადობის (ხელშეუხებლობის) ინტერესის დაცვა და არა მხოლოდ სხვადასხვა ღირებულებითი ინტერესის დაცვა. საწყისი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით მაშინ, როდესაც სახეზეა პიროვნების ან ნივთის დაზიანება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის დაწესებული ვადა უშედეგოდ გავიდა ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი ან არასაკმარისია. ზიანის ფულადი ანაზღაურება პრაქტიკულად წესია და არა გამონაკლისი.²⁴

როგორც ვიცით, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით კრედიტორისათვის მიყენებული ასანაზღაურებელი ზარალის შემადგენლობა, რომის სამართლიდან მოყოლებული, ტრადიციულად მოიცავს რეალურ (ფაქტობრივ) ზარალს და მიუღებელ შემოსავალს. საქართველოს მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა სრულად გაიზიარა სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული ეს ტრადიცია და კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლებით ზარალის სრული ანაზღაურების, ანუ სრული პასუხისმგებლობის პრინციპი შემოიღო. ზარალის სრული ანაზღაურების პრინციპი დაზარალებული მხარის დარღვეული უფლებების სრულად აღდგენის აუცილებლობით არის ნაკარნახევი. თუმცა, საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლი ადგენდა, რომ თუ მოვალე არ შეასრულებდა ან არაჯეროვნად შეასრულებდა ვალდებულებას, იგი ვალდებული იყო აენაზღაურებინა კრედიტორისათვის მიყენებული ზარალი. ამავე ნორმის თანახმად, რეალურ ზარალად ითვლებოდა „კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები“, მისი ქონების დაკარგვა ან

²³ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 185.

²⁴ ი. კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2014 წ. 117, 132.

გაფუჭება და აგრეთვე შემოსავალი, რომელიც არ მიუღია და რასაც იგი მიიღებდა, თუკი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა. ციტირებული ნორმის თანახმად, რეალურ ზარალად მიჩნეული იყო დარღვეული უფლების აღსადგენად კრედიტორის მიერ უკვე გახარჯული ფულადი სახსრები, ხოლო ის ფულადი სახსრები, რაც კრედიტორს დასჭირდებოდა დარღვეული უფლების მომავალში აღსადგენად, რეალურ ზარალად არ განიხილებოდა. შემდგომ წლებში კანონში არსებული ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით დამკვიდრდა სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სასამართლო მოპასუხეს დააკისრებდა დარღვეული უფლების აღსადგენად დაზარალებული მოსარჩელის მიერ უკვე გაწეულ ხარჯებს; ხოლო ის ხარჯები, რის გადახდაც დაზარალებულს მომავალში მოუწევდა. სასამართლო მოცემული სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით არ (ვერ) იმსჯელებდა. ამასთან მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მას შემდეგ რაც დარღვეული უფლების აღსადგენად ახალ ხარჯებს გაწევდა, ახალი სასარჩელო განცხადებით მიემართა სასამართლოსათვის.²⁵

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პასუხისმგებლობის ნატურით შესრულების პრინციპი. კოდექსის 361-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. მოვალის მხრივ ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ, როგორც წესი, შეიძლება კრედიტორს ზიანი მიაყენოს. ასეთ შემთხვევაში კოდექსის 408-ე მუხლის მიხედვით მოვალე ვალდებულია, „აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. ანუ მოვალის უპირველესი ვალდებულებაა, რომ მის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი პირვანდელ მდგომარეობაში აღადგინოს - ზიანის ნატურით აღდგენა. კოდექსის მომდევნო 409-ე მუხლი განამტკიცებს ზიანის ნატურით აღდგენისა და ზიანის ფულადი კომპენსაციის რიგითობასაც განსაზღვრავს და უპირატესობას ზიანის ნატურით აღდგენას ანიჭებს. „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით პასუხისმგებლობის რა ფორმა უნდა იყოს შერჩეული - ზიანის ნატურით აღდგენა თუ ფულად კომპენსაცია, მოსარჩელის ნებაზეა დამოკიდებული. მოსარჩელის არჩევანი, რომ თავისუფლად აირჩიოს ზიანის ნატურით აღდგენა თუ ფულადი კომპენსაცია, არ ნიშნავს მის სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კრედიტორს (მოსარჩელეს) პასუხისმგებლობის ფორმის არჩევანის დროს

²⁵ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 170-172.

უფლებას ანიჭებს იმ ფარგლებში, ვიდრე ზიანის ნატურით აღდგენის შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ იქ სადაც ნატურით აღდგენა შეუძლებელია, დავის შემთხვევაში სასამართლომ მოპასუხეს ზიანის ფულადი კომპენსაციის გადახდა უნდა დააკისროს.²⁶

2.4. რეალური/ფაქტობრივი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ზიანი წარმოადგენს რეალურ ზიანს, რომლის ანაზღაურებითაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა უნდა მოხდეს. სწორედ მისმა ანაზღაურებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც „იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.²⁷

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს თავის თავზე მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულის გამო, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზარალი არის ასეთი ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების კონკრეტული დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში“.²⁸ ამასთან, სასამართლოს შეუძლია კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, შეამციროს მოვალის პასუხისმგებლობის სიდიდე, თუკი დაადგენს, რომ ხელშეკრულების

²⁶ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 182-183.

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2019 წ. 408 I მუხლი.

²⁸ ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 652.

დადებისას, ამ უკანასკნელს არ აუღია თავის თავზე აღნიშნული რისკი, სხვანაირად, ხელშეკრულებით არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი. სავარაუდო უნდა იყოს საერთოდ ზიანი და არაა აუცილებელი ეს მოთხოვნა გავრცელდეს ზიანის სიდიდეზე, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს.²⁹

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლში ციტირებული ნორმის წინადადება „ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო“, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ზიანის სავარაუდოება მოვალის სუბიექტურ განცდებსა და აღქმის შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული, რადგან აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სხვაგვარი გაგების მანიშნებელი ნორმაში არ გვაქვს. მოვალის სუბიექტური მხარის მხედველობაში მიღება კი, რა თქმა უნდა, დადებით შედეგს ვერ მოგვცემს. ამიტომ სასურველი იქნებოდა თუკი განსახილველი ნორმა ისეთივე შინაარსით ჩამოყალიბდებოდა, როგორც მოცემულია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის 1980 წლის კონვენციის 74-ე მუხლში. დასახელებული ნორმა ტრადიციულად ადგენს, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი ზარალი მოიცავს რეალურ ზარალს და მიუღებელ შემოსავალს. „ასეთი ზარალი არ უნდა აღემატებოდეს ზარალს, რომელსაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ითვალისწინებდა ან უნდა გაეთვალისწინებინა ხელშეკრულების დადების მომენტში, როგორც მისი დარღვევის შესაძლო შედეგი. მხედველობაში უნდა მიეღო რა გარემოებანი, რომლებიც მაშინ იცოდა ან უნდა სცოდნოდა“. როგორც ვხედავთ, კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ მოვალისათვის სავარაუდო ზარალი მოვალის სუბიექტური მხარის განსჯის საგანი არ უნდა გახდეს. თითქოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის ჯიბრზე კონვენცია არაერთგზის მიუთითებს სავარაუდო ზარალის განსჯის ობიექტურ მასშტაბებზე. კერძოდ, რომ სავარაუდო ზარალის შესახებ ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს „უნდა გაეთვალისწინებინა“, „მხედველობაში უნდა მიეღო“, „უნდა სცოდნოდა“. ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ სამართალდამრღვევის ვარაუდი სამომავლო ზარალის თაობაზე უნდა ეფუძნებოდეს გულისხმიერებისა და მზრუნველობის იმ ხარისხს, როგორსაც მოცემულ პირობებში ყველა სხვა გონივრულად მოაზროვნე ადამიანი გამოავლენდა და არა მოვალის სუბიექტურ მხარეს, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლიდან იკითხება. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი ანალოგიის საფუძველზე ვენის კონვენციის 74-ე მუხლთან შესაბამისობაში უნდა იყოს გაგებული.³⁰

²⁹ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001 წ. 465-466.

³⁰ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 176-177.

როგორც ვიცით, რეალური ზარალი, რომელიც გულისხმობს ზიანის ნატურით ანაზღაურებას და ფულად კომპენსაციას, და მიუღებელი შემოსავალი, ორივე ერთად ზარალის შემადგენლობაშია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლში მოცემულია მიუღებელი შემოსავლის ლეგალური განმარტება, რომლის მიხედვითაც მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. აღნიშნული მუხლი ერთმანეთისაგან გამიჯნავს რეალურ ზარალსა და მიუღებელ შემოსავალს. მისი მიხედვით ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. ამრიგად, სამართალდამრღვევი ვალდებულია სხვა პირისათვის მიყენებული ზარალი სრულად აანაზღაუროს თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.³¹

მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა მოვლენები მართლზომიერების ფარგლებში რომ მოთავსებულიყო. აღნიშნული განმარტება შეესაბამება ქართული სამოქალაქო კოდექსით დადგენილ წესს, რომელიც მიუღებელი შემოსავლის სახით არსებულ ზიანს ანალოგიური ნიშნებით აღწერს. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირ და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობასთან, პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.³²

მიუღებელი შემოსავალი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ანაცდური მოგება. ამასთან, მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. სასამართლო პრაქტიკაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. საჭიროა, რომ ყველა მნიშვნელოვანი გარემოების შეფასებიდან ჩანდეს მისი დადგომის შესაძლებლობა. არაა აუცილებელი მაქსიმალური ალბათობა. მაგალითად, ტაქსისტისათვის მიუღებელი შემოსავალი იქნება ის შემოსავალი, რომელიც მან ვერ მიიღო ავტომობილის შესაკეთებლად საჭირო დროის განმავლობაში; ასევე მიუღებელი შემოსავალი იქნება მუშაკისათვის ის ხელფასი, რომელიც მან ვერ მიიღო ავადმყოფობის მიზეზით სამუშაოს შეუსრულებლობის გამო. კომერციულ ბრუნვაში

³¹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 170-171.

³² ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 653.

მეწარმეთა ინტერესი სწორედ, რომ შემოსავლის მიღებისკენაა მიპყრობილი, ამიტომაც ანაცდური მოგების ანაზღაურება მათ განსაკუთრებულ ინტერესებში შედის.³³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“. უზენაესი სასამართლო მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საკითხს საკმაოდ ფრთხილად ეკიდება. ის ფაქტი, რომ მტკიცების ტვირთი კრედიტორის მხარესაა, სასამართლოს აზრით, გულისხმობს მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას.³⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით განსაზღვრავს აგრეთვე, მისი ანაზღაურების მოცულობასა და ოდენობას. მიუღებელ შემოსავალს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების მიხედვით წარმოადგენს ყველა ქონებრივი პოზიცია, რის მიღებასაც დაზარალებული მოახერხებდა ზიანის გამომწვევი შემთხვევის დადგომის გარეშე. შესაძლო ქონებრივი სარგებლის სპექტრი, რომელსაც დაზარალებული დამზიანებლის ქმედების გამო უშვებს ხელიდან, საკმაოდ ფართოა, მოიცავს, როგორც შრომით შემოსავალს, ასევე ქონებრივი სიკეთეების რეალიზების შედეგად მიღებულ მოგებას.³⁵

მიუღებელი შემოსავლის მოცულობის დადგენისათვის გადამწყვეტია არა დაზარალებულის დაზიანების მომენტი, არამედ წყაროს თავისი შედეგებითურთ აღმოფხვრის მომენტი. გამომდინარე იქიდან, რომ მიუღებელი შემოსავალი, ჩვეულებრივ, არ დგება დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში, არამედ მისი მოცულობა იზრდება ზიანის მომტანი ქმედების შედეგების სრულ გამოსწორებამდე. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, ზოგადად უთითებენ იმ ფაქტზე, რომ ზიანის მოცულობის დადგენისას გასათვალისწინებელია მოვლენათა განვითარების დინამიკა დამაზიანებელი ქმედებიდან უკანასკნელ ზეპირ სხდომამდე, თუმცა მატერიალურ-სამართლებრივად მხოლოდ პოზიტიური ზიანის რესტიტუციის ვალდებულების შესრულების მომენტია მნიშვნელოვანი, რომელიც შეიძლება დაემთხვეს უკანასკნელ ზეპირ სხდომას. მხოლოდ ზიანის წყაროს აღმოფხვრის მომენტში არის დადგენადი, დაკარგა თუ არა დაზარალებულმა შემოსავალი და დროის რა მონაკვეთისათვის უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება.³⁶

³³ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001 წ. 463-464.

³⁴ ზ. ძლიერიშვილი და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 653-654.

³⁵ გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 411 მ. <http://www.gccc.ge/> [29.11.2019].

³⁶ გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 411 მ. <http://www.gccc.ge/> [29.11.2019].

2.5. ზიანის/ზარალის მოცულობის განსაზღვრა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზიანის მოცულობის განსაზღვრას უთმობს ერთ, ზოგადი ხასიათის ნორმას. მასში ნათქვამია, რომ „ზიანის მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი” (414-ე მუხლი). ზიანის მოცულობის დასადგენად დრო და ადგილი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ასეთი ზოგადი მითითება პრობლემის გადაჭრას ბოლომდე ვერ უწყობს ხელს. შესაბამისად ეს ნორმა ფართოდ უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია).³⁷

სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლის დანაწესით ზიანის სიდიდე ზოგჯერ სუბიექტურ გარემოებებზე დამოკიდებული ხდება და ობიექტური გარემოებები არ მიიღება მხედველობაში. ასე მაგალითად, ნივთის ხანგრძლივმა მოხმარებამ შეიძლება შეამციროს მისი ღირებულება და ზიანის ოდენობაც შესაბამისად დადგინდეს, მაგრამ შესაძლებელია, რომ სწორედ ამ დროს ჰქონდეს მას დაზარალებულისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აუცილებელია, რომ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ანგარიშგასაწევი იყოს, თორემ მისი ყოველგვარი ინტერესი მხედველობაში არ მიიღება. ზიანის სიდიდის განსაზღვრისას არავითარ როლს არ თამაშობს ის ფაქტი, შესრულების საგანი დაზარალებულს ნაჩუქარი ჰქონდა თუ ნაყიდი. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას უცხოურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში გამოიყენება „აბსტრაქტული” ზიანის ცნება. იგი გამოითვლება იმ სხვაობის სახით, რომელიც არსებობს შესრულების სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის. მყიდველს, რომელმაც ვერ მიიღო საქონელი, ყოველთვის შეუძლია კომპენსაციის სახით მოითხოვოს სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა.³⁸

კომერციულ ბრუნვაში გამოიყენება ტერმინი „მიმდინარე ფასი”, რომელიც წარმოადგენს საქონლისა და მომსახურებისათვის ტრადიციულად განსაზღვრულ ფასს. სწორედ ამ ფასის განსაზღვრისას ხდება აქტუალური 414-ე მუხლის დანაწესი, იმით, რომ ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი.

³⁷ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი”, 2016 წ. 173-174.

³⁸ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი”, 2001 წ. 476-477.

ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ზიანად ჩაითვლება სახელშეკრულებო და მიმდინარე ფასს შორის სხვაობა იმ დროისათვის, როცა შეწყდა ხელშეკრულება. ასეთი ფასი დგინდება იმ ადგილას, სადაც უნდა შესრულდეს ხელშეკრულება. თუ ამ ადგილას ასეთი ფასი არ გვაქვს, მაშინ მხედველობაში მიიღება იმ ადგილის ფასი, საიდანაც გონივრული იქნებოდა ინფორმაციის მიღება ამის შესახებ. მოკლედ, მიმდინარე ფასი, იგივე საბაზრო ფასია. ბაზარი კი არა მარტო ზიანის ხასიათს განსაზღვრავს, არამედ მის მოცულობასაც ადგენს.³⁹

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას პრობლემურია ქონებრივი ზიანის არაქონებრივისაგან განსხვავება, ისევე როგორც ცალკეული ტიპის ზიანის რესტიტუციის საკითხი სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით. ამ უკანასკნელი შემთხვევებისათვის 414-ე მუხლს განსაზღვრავს გარკვეულ კრიტერიუმებს ანაზღაურებადი ზიანის არაანაზღაურებადისაგან გამიჯვნისათვის. მთავარ ორიენტირად კანონმდებელი პირველ რიგში მიიჩნევს დაზარალებულის ინტერესს, ხოლო თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ეხება საქმე, დამატებით კიდევ ხელშეკრულების შესრულების ადგილსა და დროს. თუმცა საბოლოო ჯამში, ეს კრიტერიუმები ერთმანეთისაგან ზუსტად გამიჯვნადი არ არის - კრედიტორის ინტერესი მოვალის ჯეროვანი შესრულების ადგილისა და დროის გათვალისწინების გარეშე და პირიქით, ამ ადგილსა და დროს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ კრედიტორს მის მიმართ ინტერესი არ ჰქონია. 414-ე მუხლის წინადადებებიდან შესაძლებელია ერთიანი პრინციპის გამოყვანა, რომლის მიხედვითაც ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია დაზარალებულის ინტერესი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით. დაზარალებულის ინტერესის საფუძველზე კი დამზიანებლისათვის თანმდები ქონებრივი ზიანის შერაცხვა საკმაოდ პრობლემურია.⁴⁰

ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის განსაზღვრა დიდად არის დამოკიდებული იმაზე თუ საქონლის რა ფასები უდევს საფუძვლად რეალურ ზარალსა და მიუღებელ შემოსავალს. დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკას, და მით უფრო საქართველოს, დიდად განაპირობებს ინფლაციური პროცესები. ამ პროცესების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება დიდად დააზარალოს ურთიერთობის მონაწილე ერთი მხარე, სამაგიეროდ გაცილებით მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდეს ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარე, თუკი ზარალის მოცულობის განსაზღვრას საფუძვლად დაედება ხელშეკრულების შესრულების დროს მოქმედი ფასები. სამართლიანობის პოზიციიდან გამომდინარე, ზარალის მოცულობის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ვალდებულების შესრულების ადგილას მოქმედი ფასები; თუ ზარალის ანაზღაურების თაობაზე კრედიტორის მოთხოვნას მოვალე

³⁹ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2001 წ. 478-479.

⁴⁰ გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 414 მ. <http://www.gccc.ge/> [01.12.2019].

ნებაყოფლობით შეასრულებს, გამოყენებული უნდა იყოს ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურების დღეს მოქმედი ფასები; ხოლო თუ ზარალის ანაზღაურება ნებაყოფლობით არ ხდება, გამოყენებული უნდა იყოს სასამართლოში სარჩელის შეტანის დღეს მოქმედი ფასები. კრედიტორის (დაზარალებულის) ინტერესის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარის - სამართალდამრღვევის ინტერესების დაცვა. მხედველობაში გვაქვს, რომ ზარალის მოცულობის დადგენისას განისაზღვროს გადასახდელი ზარალის მოცულობის ფარგლები. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსებში გადასახდელი ზარალის მოცულობის ფარგლების მომწესრიგებელი ნორმა არ არსებობს, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ამ ფუნქციის შესრულება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს დაეკისროს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მიხედვით პირი, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიძინა ან დაზოგა ქონება სხვა პირის ხარჯზე და ე.ი. უსაფუძვლოდ გამდიდრდა, ვალდებულია, უკან დაუბრუნოს ამ უკანასკნელს უსაფუძვლოდ მიღებული.⁴¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე პარაგრაფი კი, ზიანის ანაზღაურების სამართლის ძირითად პრინციპად მიიჩნევს ნატურით ანაზღაურებას. ამ პრინციპის მიხედვით, დაზარალებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს საწყისი მდგომარეობის აღდგენა იმისგან დამოუკიდებლად, დაზიანებულია მისი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე. საწყისი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით მაშინ, როდესაც სახეზეა პიროვნების ან ნივთის დაზიანება; პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი ან არასაკმარისია. გარდა ამისა, კრედიტორს უფლება აქვს პირის ან საგნის დაზიანების შემთხვევაში, არ დაელოდოს მოვალის მიერ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და თვითონ, მაგრამ ზიანის მიმყენებელი პირის ხარჯებით, აღადგინოს იგი. ანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი აღდგენითი ხარჯები, რომლებსაც გონიერი და ეკონომიკურად მოაზროვნე ადამიანი მიზანშეწონილად ჩათვლიდა დაზარალებული პირის მდგომარეობაში. ნივთის ზიანის შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ე.წ. „სახელოსნოს რისკი“ (აღდგენის გადამეტებული ხარჯები, მაგ. ნაკლული ან დაგვიანებული შეკეთების შემთხვევებში); დაზარალებული პირის მიერ ნივთის თვითონვე შეკეთების ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე უარის განცხადებისას, შესაძლებელია სახელოსნოს ხარჯები იქნეს მოთხოვნილი. არ ანაზღაურდება ბრუნვის გადასახადი, რითაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული ზედმეტი კომპენსაცია და ანაზღაურების მოჩვენებითი დაანგარიშება.⁴²

⁴¹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 174-176.

⁴² ი. კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბ., 2014 წ. 132-134.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 7.4.2 მუხლი, რომელიც ზარალის მოცულობის შემზღუდავ პირობებს ადგენს. აღნიშნულ მუხლში ნათქვამია, რომ დაზარალებულ მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს ზარალის სრული კომპენსაცია. ეს ზარალია დაზარალებულის ნებისმიერი დანაკარგი და ყველა სარგებელი, რომელიც მან განიცადა ხარჯებისა და ზარალის თავიდან აცილების შედეგად.⁴³ აღნიშნულ ნორმას მას ისე განმარტავენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებით მხარე არ უნდა გამდიდრდეს. პრინციპები სწორედ ამიტომ ითვალისწინებს, რომ ყურადღება იყოს გამახვილებული ვალდებულების შეუსრულებლობით დაზარალებული მხარისათვის წარმოშობილ ნებისმიერ სარგებელზე. მიუხედავად იმისა თუ რა ფორმით წარმოიშვა ეს სარგებელი - ხარჯების გადაუხდელობის შედეგად, ან თავიდან აცდენილი სხვა ხარჯების სახით.⁴⁴

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების პრინციპების 7.4.3. მუხლი, კერძოდ,მე-3 პუნქტში ზარალის მოცულობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია, რომ თუ გონივრული მსჯელობის შედეგად ზარალის მოცულობის განსაზღვრა სარწმუნოების (უტყუარობის) სათანადო ხარისხით დადგენა შეუძლებელია, მაშინ ზარალის მოცულობა განისაზღვრება სასამართლოს შეხედულებით. რა თქმა უნდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ანალოგიური ნორმის არსებობა ბევრ პრობლემას გადაწყვეტდა, მაგრამ, ამჯერადაც სამართლიანობის პოზიციიდან გამომდინარე, სასამართლოს სრული უფლება გააჩნია „პრინციპებში” დაფიქსირებული დებულება სამართლის ანალოგიით გამოიყენოს.⁴⁵

⁴³ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга первая, Общие положения, Издание 3-е стереотипное, Книги 1-5, Москва, 2000-2006, 359 <https://alleng.org/d/jur/jur132.htm> [01.12.2019].

⁴⁴ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი”, 2016 წ. 176.

⁴⁵ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი”, 2016 წ. 182.

თავი III პასუხისმგებლობის სხვა ფორმები ქონებრივ ურთიერთობებში

როგორც ვიცით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.⁴⁶ თუ მოვალე ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად არ იმოქმედებს, საქმე გვექნება ვალდებულების დარღვევასთან, რაც თავისთავად პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს. როდესაც პასუხისმგებლობას ვახსენებთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იგი სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთი ძირძველი და პრობლემატური საკითხია.⁴⁷

ქართული სამოქალაქო კოდექსის როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი ვალდებულების შესრულების მექანიზმზეა აგებული. პასუხისმგებლობა მისთვის ყველაზე უკიდურესი ღონისძიებაა და ვიდრე მისი გამოყენება მოხდებოდეს, დარღვეული ვალდებულების გაჯანსღების შანსი ეძლევათ მხარეებს. პასუხისმგებლობის ცნება უნდა აიგოს იმის მიხედვით, თუ რა შედეგებს იწვევს იგი როგორც ზიანის მიმყენებლისათვის, ისე დაზარალებულისათვის.⁴⁸

პასუხისმგებლობას წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ანსხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (კანონისმიერ) პასუხისმგებლობას. სამართლის მეცნიერებაში მათი ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის აქტუალური იყო და დღესაც ასეთად რჩება. ერთი შეხედვით იქმნება წარმოდგენა, რომ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნა სირთულეს არ წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დადგომას მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა და ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება უდევს საფუძვლად; მეორე შემთხვევაში კი, მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ამიტომ თითქოს ყველაფერი ნათელი უნდა იყოს მაგრამ ფაქტობრივად მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ასე მარტივად არ წყდება.⁴⁹

ცნობილია, რომ ყოველგვარი ბრალეული მოქმედება სამართალდარღვევაში ვლინდება. როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ პასუხისმგებლობას, მართალია, სამართალდარღვევა წარმოშობს, მაგრამ სამართალდარღვევა, რაც ერთი ან მეორე სახის

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2019 წ. მ. 361.

⁴⁷ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 9-10.

⁴⁸ ე. ნინუა, პასუხისმგებლობა და მისი თავისებურებანი ერთობლივ საქმიანობაში, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010 წ. 33.

⁴⁹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30), 2011 წ. 62.

პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება, ერთმანეთისაგან განსხვავდება. სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი თვით ხელშეკრულებაა. დელიქტურ ურთიერთობებში დაზარალებულისათვის ზიანის მიყენება გამოწვეულია პირის მიერ, რომელიც მანამდე დაზარალებულთან სამართლებრივ ურთიერთობებში არ იმყოფებოდა და აქტიური კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით არღვევს აქტიური მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას. იქიდან გამომდინარე, რომ დელიქტურ ურთიერთობებში ზიანის დადგომამდე სამართალდამრღვევსა და დაზარალებულს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, მათ შორის დელიქტური ურთიერთობა ზიანის მიყენების მომენტიდან წარმოიშობა და წესრიგდება კანონით მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგს იწვევს დელინკვენტის მიერ დაზარალებულისათვის ზიანის მიყენება. სპეციალისტთა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ დელიქტურ ურთიერთობებში დელიქტური პასუხისმგებლობა წარმოიშობა ერთი პირის მიერ მეორისათვის ზიანის მიყენების შედეგად, ანუ თვითონ ზიანის მიყენების ფაქტი არის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველი.⁵⁰ საბოლოოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს და გაიმიჯნოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა.

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა ფორმებიც არსებობს. ქონებრივ ურთიერთობებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმებს მიეკუთვნება: 1. ზიანის (ზარალის) ანაზღაურება; 2. პირგასამტეხლოს გადახდა; 3. ბეს დაკარგვა ან ორმაგი ბეს გადახდა; 4. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პროცენტის გადახდევინება.⁵¹ სწორედ, რომ პასუხისმგებლობის აღნიშნულ ფორმებზე გვექნება საუბარი წინამდებარე ნაშრომის შემდეგ ქვეთავებში.

⁵⁰ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 339-340.

⁵¹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 164-165.

3.1. პირგასამტეხლო

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს ინსტიტუტს, ფრანგული სამოქალაქო კოდექსისათვის ჩვეულ, ერთობ ზოგადი დებულებებით აწესრიგებს, რაც მათი ფართო და მრავალმხრივი განმარტების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ზოგჯერ ჩიხურ მდგომარეობასაც ვაწყდებით. პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმები განთავსებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების სპეციალურ თავში, რაც ერთი შეხედვით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს მომწესრიგებელ ნორმებს განიხილავს როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებთან ერთად, ისე პასუხისმგებლობის სპეციალურ თავში, რითაც ხაზი აქვს გასმული მის ორგვარ დანიშნულებას - როგორც უზრუნველყოფის საშუალებას და როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულის არარსებობის მიუხედავად სპეციალისტისათვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს პირგასამტეხლოს ორგვარი ბუნება. პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რაც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ამრიგად, ერთი მხრივ, პირგასამტეხლოს აკისრია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია და მეორე მხრივ, ის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საშუალებად გამოიყენება. იმისათვის რომ გავარკვიოთ თუ რაში მდგომარეობს პირგასამტეხლოს ამ ორი კატეგორიის განსხვავება, საჭიროა მათი სხვადასხვა კუთხით განხილვა. მაგალითად, თუ მხარეებმა ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს გადახდა, ხოლო შემდგომ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის კრედიტორმა ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით მოვალისაგან პირგასამტეხლოს გადახდა მოითხოვა, უპირველესად საქმე გვექნება პირგასამტეხლოსთან, როგორც ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის საშუალებასთან.⁵²

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორგვარი ფუნქცია გააჩნია. ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს. პირგასამტეხლო კრედიტორის ხელში ზემოქმედების საშუალებაა, რათა მოვალემ ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს. პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს მოვალეზე და აიძულებს, უზრუნველყოფილი

⁵² დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 188-189.

ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. ვალდებულების შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია 394-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამისათვის აუცილებელია, მან დაამტკიცოს ზიანის ფაქტი და ოდენობა, რაც გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება და დროსაც მოითხოვს. პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტიც საკმარისია. ზიანის არსებობის მტკიცება არ არის აუცილებელი. პირგასამტეხლო ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალეს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში სანქციად ქცეული პირგასამტეხლო უპირობოდ ეკისრება მოვალეს, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი აღნიშნული დარღვევის შედეგად. ეს სანქცია ითვლება განცდილი ზიანის ანგარიშში და უადვილებს კრედიტორს ზიანის ანაზღაურებას.⁵³

პირგასამტეხლო აქცესორული ბუნებისაა. მისი ნამდვილობა დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე. არანამდვილი (ბათილი) ძირითადი ვალდებულების შემთხვევაში არ არსებობს ის ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფასაც პირგასამტეხლო ემსახურება, შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაც არ წარმოიშობა. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება არსებობს იქამდე, სანამ არსებობს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობა. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაც აღარ არსებობს. თუ, რა თქმა უნდა, მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნება განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების წინა პირობას წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების დარღვევა, არამედ ვალდებულების ბრალეული დარღვევა. ამდენად, პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის ზიანის მიყენების მიუხედავად. თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მისმა ბრალეულმა მოქმედებამ გამოიწვია. უფრო მეტიც, ვადაგადაცილებისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს პირობებში, ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალის ბრალეული ქმედებით არ არის განპირობებული, ვადაგადაცილებად და, შესაბამისად, ვალდებულების დარღვევად საერთოდ არ მიიჩნევა, ამგვარ რეგულირებას შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი

⁵³ ზ. ძლიერიშვილი, და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 593.

ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.⁵⁴

პირგასამტეხლოს წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა მხარეების შესაბამისი შეთანხმების არსებობა. პირგასამტეხლო ფორმასავალდებულო გარიგებაა. შეთანხმების ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა მაშინაც კი, როცა ძირითადი ხელშეკრულება ზეპირად დაიდო. წერილობითი ფორმის მოთხოვნა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ პირგასამტეხლოს შეთანხმებისათვის აუცილებელია იმ ძირითადი სამართალურთიერთობისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების განსაზღვრა, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი იდება. წერილობით შეთანხმებაში მხარეები აღწერენ ყველა არსებით პირობას პირგასამტეხლოს თანხის ან მისი განსაზღვრის მეთოდის ჩათვლით, რითაც მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა უფრო ცხადი ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში საკმაოდ გართულდებოდა სამართლის დადგენა თავად პირგასამტეხლოს შეთანხმების, მისი შინაარსისა და ოდენობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს იცნობს და შესაბამისად, წერილობითი ფორმის მოთხოვნაც მხოლოდ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოზე ვრცელდება.⁵⁵

პოსტაბჰოთა ქვეყნების სამართალში მიღებულია პირგასამტეხლოს კლასიფიკაცია წარმოშობის საფუძვლის მიხედვით კანონისმიერ (ნორმატიულ) და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ. ქართული სამოქალაქო სამართლისათვის ასეთი დაყოფა უცხოა, რადგან სამოქალაქო კოდექსი იცნობს მხოლოდ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს.⁵⁶ თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე განმარტებას აკეთებს, რომ კანონისმიერად მიიჩნევა პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ - გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).⁵⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ პირგასამტეხლოს მოცულობა, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ერთი მხარის ინიციატივამ, გამოცდილებამ განაპირობოს „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლოს დადგენა. ამ შეცდომის გამოსწორების მიზნით კოდექსის 420-ე მუხლი ადგენს, რომ „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს

⁵⁴ ქ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, მე-3 გამოცემა, თბ., 2014 წ. 17.

⁵⁵ ზ. ძლიერიშვილი და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 594.

⁵⁶ ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012 წ. 237.

⁵⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-459-438-2015.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო”. 420-ე მუხლი მინიშნებასაც არ აკეთებს „საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო” რას გულისხმობს. მაგალითად, პროფესორი ბესარიონ ზოიძე ამ ნორმის კომენტარებისას თვლის, რომ ეს ეხება მოვალის მატერიალურ მდგომარეობას, რომ პირგასამტეხლოს გადახდა მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს მას.⁵⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს. თუმცა ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი” პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობას და სხვა გარემოებებს. კერძოდ იმას თუ, როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე კრედიტორის ეკონომიკური ინტერესი.⁵⁹

პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. ამდენად, თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამეწარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მეწარმეა და ა.შ., ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.⁶⁰ კიდევ ერთი

⁵⁸ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი”, 2016 წ. 197.

⁵⁹ ე. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა”, მე-3 გამოცემა, თბ., 2014 წ. 22-23.

⁶⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1451-1371-2017.

მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც პირგასამტეხლოს პრაქტიკული კვლევის მიზნებს ემსახურება, მდგომარეობს იმაში, რომ პირგასამტეხლოს შემცირებაზე უფლებამოსილი სუბიექტი - სასამართლო, პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის შეფასებას იწყებს მხოლოდ მხარეთა შეჯიბრებითობის ფარგლებში. პირგასამტეხლოს შემცირების შემთხვევაში, თუ მხარე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას არ მოითხოვს ან მოითხოვს სამართალწარმოების იმ ეტაპზე, როდესაც ახალი მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია, სასამართლო თავისი ინიციატივით, შესაბამისი პროცესუალურად ნამდვილი შეცილების უფლების გარეშე, პირგასამტეხლოს ვერ შეამცირებს, თუნდაც იგი შეუსაბამოდ მაღალი იყოს. უფრო მეტიც, მხარემ უნდა ამტკიცოს, თუ რატომ არის პირგასამტეხლო მაღალი. ამდენად, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის თაობაზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის პირობებში მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა თუ სხდომაზე გამოუცხადებლობა, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს დაკისრებას იწვევს, თუნდაც ის იყოს შეუსაბამოდ მაღალი, ვინაიდან შეთანხმებული პირგასამტეხლოს „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ“ მიჩნევას, შეცილება და მტკიცება სჭირდება.⁶¹

3.2. ბე

ბე ქართულ სამოქალაქო სამართალში საკმაოდ გავრცელებული ფასეულობაა. მისი დანიშნულება უპირველესად ისეთია, როგორც ამას სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი იტყობინება, კერძოდ, იგი წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცებულებას.⁶²

სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის თანახმად, ბედ მხარეთა მიერ შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ფულადი თანხა იქნეს შეთანხმებული. განსხვავებით, მაგალითად, გერმანული სამართლისაგან, რომელშიც ბე არა მხოლოდ ფულადი თანხით, არამედ ნებისმიერი, მათ შორის არამატერიალური, ქონებრივი სიკეთით შეიძლება განისაზღვროს. რა მიზეზი აქვს ასეთ შეზღუდვას? კანონმდებელს სავარაუდოდ, შესაძლო სირთულეების თავიდან აცილება სურდა, რაც ბეს მიმღების მიერ არაფულადი ბეს საგნის ორმაგ დაბრუნებასთან იქნებოდა დაკავშირებული. მაგალითად, ბეს მიმცემმა არამატერიალური ქონებრივი სიკეთე გადასცა ხელშეკრულების მეორე მხარეს. ბეს მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში,

⁶¹ ქ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, მე-3 გამოცემა, თბ., 2014 წ. 23-24.

⁶² ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც „სამართალი“, 2001 წ. 498.

იგი ვალდებული იქნებოდა ორმაგად დაებრუნებინა იგი კრედიტორისათვის. აღნიშნულს, შესაძლებელია მოვალესათვის საკმაოდ სერიოზული ფინანსური და სხვაგვარი პრობლემები შეექმნა, რაც გაართულებდა ბეს დაბრუნების ვალდებულების შესრულებას. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, კანონმდებლის მიერ ბეს თანხობრივ ოდენობაში განსაზღვრა სავსებით გამართლებული გადაწყვეტილებაა, რომელმაც ბეს ეფექტურობასა და პრაქტიკაში მის ფართო გამოყენებას შეუწყო ხელი.⁶³

დებულება იმის შესახებ, რომ ბეთი დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი, მისაღებია და დავას არ წარმოშობს მაშინ, თუ მოცემული ხელშეკრულების დადება ზეპირი ფორმითაც არის დასაშვები. მაგალითად, ძვირად ღირებული ბეჭდის ნსყიდობის ხელშეკრულებისათვის გაიცა ბე და მას სადავოდ არ ხდის გამყიდველიც. ითვლება, რომ მხარეთა შორის ბეჭდის ნასყიდობის ხელშეკრულებაც დადებულია მაშინაც, თუ ამის თაობაზე წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება არ არსებობს და მხარეთა შორის ხელშეკრულება სადავო გახდა. მაგრამ რა ვქნათ მაშინ, როცა იგივე ნასყიდობის ხელშეკრულება ეხება უძრავ ნივთს? ამასთან დაკავშირებით პროფესორი ო. იოფე წერს: ბეს გადახდა ემსახურება თვით ხელშეკრულების დადების დადასტურებას და არ შეიძლება მისი სადავოდ გახდომა, თუნდაც ხელშეკრულება არ იყოს კანონით გათვალისწინებული ფორმით შედგენილი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პროფესორ ო. იოფეს მტკიცებით, თუ უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულება სათანადო ფორმით არ არის დადებული, არ არის რეგისტრირებული მარეგისტრირებელ ორგანოში, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით მყიდველმა გამყიდველს ბეს სახით გადასცა გარკვეული რაოდენობის ფულადი თანხა და ბეს მიღებას არც გამყიდველი უარყოფს, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად უნდა იყოს მიჩნეული.⁶⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ბეს შესახებ შეთანხმება რაიმე ფორმის დაცვას არ საჭიროებს. პირგასამტეხლოსა და მოვალის გარანტიისაგან განსხვავებით, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ შეთანხმდნენ ბეს თაობაზე ზეპირი ან წერილობითი ფორმით. რამდენად გამართლებულია ამგვარი ლიბერალიზმი ბესთან მიმართებაში? წერილობითი ფორმის არარსებობამ შესაძლებელია პრაქტიკაში სირთულეები წარმოშვას. კერძოდ, წერილობითი ფორმის არარსებობამ შესაძლებელია გაართულოს ბესა და ავანსის გამიჯვნა. თუმცა, გამიჯვნის შეუძლებლობა, პირგასამტეხლოსა და მოვალის გარანტიისაგან განსხვავებით, ბეს თაობაზე შეთანხმების ბათილობას არ იწვევს, იგი მხოლოდ უზრუნველყოფ ფუნქციას დაკარგავს და ავანსად ჩაითვლება. სასამართლო დავებში, სანქციის თავიდან არიდების მიზნით, ბეს ავანსად წარმოჩენის მცდელობა საკმაოდ ხშირია. უძრავი ქონების

⁶³ ზ. ძლიერიშვილი და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 607.

⁶⁴ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 202-203.

ნასყიდობის შემთხვევაში ეს პრობლემა იმდენად მწვავედ არ არის. უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე დადებულ შეთანხმებას ბეზე სასამართლო პრაქტიკა მართებულად მიიჩნევს წინარე ხელშეკრულებად. შესაბამისად, 327-ე მუხლის მიხედვით, მასზე ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა. ამიტომ წერილობითი ფორმის დაცვის გარეშე დადებული შეთანხმება ბეს თაობაზე მსგავს შემთხვევაში, ავტომატურად ბათილად მიიჩნევა. უმთავრესად პრობლემატურია ის ხელშეკრულებები, რომელთათვისაც კანონი არ ითვალისწინებს სავალდებულებო წერილობით ფორმას.⁶⁵

ქართველმა კანონმდებელმა, ბე ერთდროულად რამდენიმე ფუნქციით აღჭურვა. ერთი მხრივ, ბეს გადაცემით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. იგი გვევლინება მხარეთა კონსენსუსის შედეგად დადებული ხელშეკრულების მტკიცებულების ნიშნად. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ბე გვევლინება არა ხელშეკრულების დადების უტყუარ მტკიცებულებად, არამედ იგი წარმოშობს ვარაუდს, რომ ხელშეკრულება დადებულია. ამასთან, აღნიშნული ვარაუდი ეხება მხოლოდ ხელშეკრულების დადების ფაქტს და არა მის შინაარსს. იგი მოქმედებს მანამ, სანამ საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული. აღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ბე ხელშეკრულებას წარმოშობს. ბეს არ გააჩნია ხელშეკრულების წარმოშობის ფუნქცია. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების დადების თაობაზე ნების გამოვლენის ნაკლისა ანდა ფორმის დაუცველობის გამო ბათილია, ბეს არც ნაკლის გამოსწორებისა და არც კანონით გათვალისწინებული ფორმის შეცვლის უნარი შესწევს. ამ შემთხვევაში ბეს აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, ბეს თაობაზე მიღწეული შეთანხმებაც ბათილად ჩაითვლება. მეორე ფუნქცია, რომლითაც ბე ქართველმა კანონმდებელმა აღჭურვა, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. იგი ბადებს უზრუნველყოფა და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ეფექტს ხელშეკრულების ორივე მხარისათვის. ბეს მიმცემმა იცის, რომ მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაკარგავს ბეს თანხას. ბეს მიმღებს კი, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბეს ორმაგად უკაბ დაბრუნება მოუწევს.⁶⁶

ავტორთა დიდი ნაწილი ბეს განიხილავს, როგორც პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ ფორმას. თუმცა, სხვები, მათ შორის პროფესორი ვ. ვიტრიანსკი ბეს პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ ფორმად არ მიიჩნევენ და მას კანონისმიერი პირგასამტეხლოს, კერძოდ, ჯარიმის მნიშვნელობას ანიჭებენ. საკითხისადმი ასეთი გაორებული დამოკიდებულება თვით ბეს ბუნებიდან გამომდინარეობს. ბე რთული სამართალურთიერთობაა. რა თქმა უნდა, მას პირგასამტეხლოს ნიშნებიც აქვს, კერძოდ - საჯარიმო პირგასამტეხლოსი. ამის გამო

⁶⁵ ზ. ძლიერიშვილი და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 609-610.

⁶⁶ იქვე დასახელებული ლიტერატურა, 607-608.

პირგასამტეხლო და ბე მომიჯნავე ურთიერთობებად შეიძლება იყოს განხილული, მაგრამ ბეს თვისებები პირგასამტეხლოსადმი მსგავსებით არ ამოიწურება: ბეთი დასტურდება ხელშეკრულების არსებობის ფაქტი; ბე ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა; ჩათვლითი პირგასამტეხლოსაგან განსხვავებით ბეს ჩათვლის ორგვარი ფუნქცია აკისრია - უპირველესად ის ძირითადი ვალდებულებით გათვალისწინებული გადახდის ანგარიშში ჩასათვლელი თანხაა და მეორე, ზარალის დადგომის შემთხვევაში ბე ზარალის ასანაზღაურებელ ანგარიშში ჩათვლება; დაბოლოს, ბე პასუხისმგებლობის საჯარიმო საშუალებაა. თუ თვალს გადავავლებთ უზრუნველყოფის სხვა საშუალებებს, არცერთ მათგანს იმდენი დატვირთვა არ გააჩნია, რაც - ბეს. აქედან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ის განხილული იყოს, როგორც პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ფორმა.⁶⁷

3.3. პროცენტის გადახდევინება ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მასში ნათქვამია, რომ „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოდექსის 403-ე მუხლი ვრცელდება როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით, მყიდველს საქონლის მიწოდებისათვის ეკისრება გამყიდველისათვის გარკვეული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება; ნარდობის ხელშეკრულებით შემკვეთი ვალდებულია მენარდეს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური ფულადი თანხის სახით და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულადი ვალდებულებების დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოყენებას უპირატესად ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში ვხვდებით.⁶⁸

პროცენტის გადახდევინება დაკავშირებულია არამარტო ვალდებულებით ურთიერთობის იმ ეტაპთან, როცა ეს ურთიერთობა ნორმალურად ვითარდება, არამედ მისი დარღვევის, კერძოდ,

⁶⁷ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 199.

⁶⁸ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 432.

ვადის გადაცილების ფაქტთან. თუ პირველ შემთხვევაში პროცენტი კაპიტალით სარგებლობისათვის დგინდება, მეორე შემთხვევაში, სულერთია მისი გადახდევინებისათვის მოვალე ისარგებლებს ამ კაპიტალით თუარა. საამისოდ საკმარისია ვადის გადაცილების ფაქტი. ამიტომაც, ვადის გადაცილებისათვის დაწესებული პროცენტი ვალდებულების დროული შესრულების პრევენციული ფუნქციის მატარებელია. გერმანულ სამართალში იგი „მინიმალური ზიანის“ სახელწოდებითაა ცნობილი. სამოქალაქო კოდექსი, ზოგიერთი ევროპული კოდექსის (მაგალითად, გერმანულის) ანალოგიურად, ციფრობრივად არ ადგენს პროცენტის ზღვრულ ოდენობას არც საერთოდ და არც ვადის გადაცილების შემთხვევაში. იგი ერთობ ზოგადი კრიტერიუმებით განსაზღვრავს მას და უმეტესად კერძო შემთხვევით შემოიფარგლება.⁶⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლს მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როცა მოვალეს ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ეკისრება პასუხისმგებლობა პროცენტის გადახდის სახით; ანუ იგი შედეგია სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობისა. კერძოდ, თუ სესხის ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით, მოვალე სწორედ რომ ამ პერიოდის განმავლობაში არის უფლებამოსილი სარგებლობდეს ფულადი კაპიტალით და ამისათვის იხდის სასყიდელს. ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე მოვალე ვალდებულია სესხი დაუბრუნოს კრედიტორს, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ის უკვე უკანონოდ სარგებლობს სხვისი ფულადი სახსრებით. მთავარი გარემოება, რომელიც ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის სავალდებულო ხასიათზე მეტყველებს შემდეგში მდგომარეობს. მოვალე, რომელიც ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს, ამით იგი ზიანს აყენებს კრედიტორს იმით, რომ თუკი მოვალე კრედიტორს დროულად დაუბრუნებდა ფულს, ეს უკანასკნელი, მინიმუმ, ბანკში ანაბრის ხელშეკრულებით განათავსებდა ფულს და შესაბამისად მიიღებდა წინასწარ განსაზღვრულ პროცენტს. სწორედ ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, რომ სხვისი კაპიტალით უკანონო სარგებლობისათვის პროცენტის დაკისრების იურიდიული ბუნება ზიანის ნაირსახეობას წარმოადგენს.⁷⁰

⁶⁹ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001 წ. 435.

⁷⁰ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 435, 441.

თავი IV პასუხისმგებლობის ფორმები პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისათვის

სამართლის მეცნიერებაში პასუხისმგებლობის ფორმებს განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივ ურთიერთობებში. წინამდებარე ნაშრომის ქვეთავებში უკვე განხილული იქნა პასუხისმგებლობის ფორმები ქონებრივ ურთიერთობებში, ძირითადად საუბარი გვექონდა ზიანის (ზარალის) შესახებ. ამჯერად, განვიხილოთ პასუხისმგებლობის ფორმები არაქონებრივ ურთიერთობებში, ე.ი. პასუხისმგებლობის ფორმები პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისათვის.

როგორც ვიცით, პირადი არაქონებრივი უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით არის მოწესრიგებული. პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის დროს თავისებურება არის ის, რომ ხელყოფა უპირველესად თვით პირადი არაქონებრივი უფლებებისათვის ზიანის მიყენებაში ვლინდება. პირადი არაქონებრივი უფლებებისათვის ზიანის მიყენება სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ესენია: სახელის უფლების უარყოფა; უნებართვოდ სხვის სახელით სარგებლობა; პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება; პირადი ცხოვრების შემცველი ცნობების გახმაურება; პირის გამოსახულების უნებართვოდ გამოქვეყნება და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფამ შეიძლება დაზარალებულისათვის ქონებრივი და მორალური ზიანიც გამოიწვიოს.⁷¹

პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფით გამოწვეული უარყოფითი შედეგი მრავალმხრივია. მის შესაბამისად არაერთგვაროვანია დამდგარი შედეგისაგან დაცვის საშუალებებიც. ესენია: სახელის უფლების აღიარება; უნებართვოდ სხვისი სახელით სარგებლობის შეწყვეტა; გამაწილებელი ცნობების უარყოფა; მართლსაწინააღმდეგო მოქმედების აღკვეთა, რაც შეიძლება გამოიხატოს სხვისი პირადი ცხოვრების გახმაურების ან სხვა პირის გამოსახულების უნებართვოდ გამოყენების აღკვეთაში. აღსანიშნავია, რომ დაცვის ეს საშუალებები დაზარალებულის დარღვეული უფლების აღდგენაა და არა სამოქალაქო პასუხისმგებლობა. პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ფორმებს მიეკუთვნება ქონებრივი ზიანისა და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებულია, რომ პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევის შემთხვევაში ამ სიკეთეთა დაცვა ხორციელდება

⁷¹ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 226.

ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, რაც ნიშნავს, რომ ერთ შემთხვევაში პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევა შეიძლება ხელმყოფის ბრალით არც იყოს გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში ხელმყოფის მიმართ გამოყენებული იქნება მხოლოდ ზემოთ დასახელებული უფლების აღიარების საშუალებები. ხოლო თუ იგივე პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევაში ხელმყოფს მიუძღვის ბრალი (განზრახი ან გაუფრთხილებელი), მაშინ მის მიმართ გამოიყენება პასუხისმგებლობის ფორმები - მიყენებული ქონებრივი ზიანისა და მისგან დამოუკიდებლად არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.⁷²

პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ საფუძველებად ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძველები. ამასთან, კანონი ითვალისწინებს გარემოებებს, რომლებიც სპეციფიკურია არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისათვის. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების პირველ, უმთავრეს საფუძველს თავად ქონებრივი ზიანის არსებობა წარმოადგენს. ზიანის ქვეშ, მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება ქონებრივი დანაკლისი, რაც ფიზიკურმა პირმა მისი პიროვნული უფლებების ხელყოფით განიცადა. აღნიშნული დანაკლისი შესაძლოა დადგეს ანაცდენი სარგებლობის სახით. ქონებრივი ზიანის გამოთვლის ერთ-ერთ კრიტერიუმად კანონი მიიჩნევს მოგებას, რომელიც სამართალდამრღვევა პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად მიიღო. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მეორე აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მესამე საფუძველია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ქონებრივ ზიანს შორის. ქონებრივი ზიანი უნდა იყოს უშუალო შედეგი პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისა. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მეოთხე საფუძველია ხელმყოფი პირის ბრალი. ეს უკანასკნელი თავი მოქმედებით მიზნად უნდა ისახავდეს უფლების მატარებელი სუბიექტის პიროვნების კომპრომეტაციას ან ითვალისწინებს მისი მოქმედებით დაზარალებულის კომპრომეტაციის შესაძლებლობას. ზიანის მიმყენებლის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის თანაბარი მნიშვნელობისაა.⁷³

პირადი არაქონებრივი უფლების ბრალეულმა ხელყოფამ თუ დაზარალებულისათვის ქონებრივი ზარალი გამოიწვია, ხელმყოფი ვალდებულია ეს ზარალი ანაზღაუროს იმ მოცულობით, რა მოცულობის მოგებაც ამ უკანასკნელმა მიიღო. პასუხისმგებლობის ეს

⁷² დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016. 226-227.

⁷³ თ. ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2002 წ. 70-73.

მოცულობა შეიძლება დაზარალებულისათვის მიყენებულ ზარალზე ნაკლები ან ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მეტიც იყოს, რისი ზუსტი გაანგარიშება და დადგენა არცთუ ისე ადვილია.⁷⁴

4.1. ზოგადი დებულებები

კონტინენტური სამართლის რამდენიმე ქვეყანაში პირადი არაქონებრივი უფლებები სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, რომელთა საფუძველზეც მათი რეცეფცია განხორციელდა კოდექსში. არაქონებრივ უფლებებს მოიხსენიებენ პიროვნულ უფლებებადაც, რომელიც ღირსების, პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან წარმოშობილ უფლებას წარმოადგენს და თითოეულ პირს (მათ შორის სახელმწიფოსაც) პატივისცემის მოვალეობას აკისრებს. პირადი არაქონებრივი უფლებები, მათი არსიდან გამომდინარე, შესაძლებელია განსხვავდებოდეს სპეციალურ კანონში მოწესრიგებული არაქონებრივი უფლებებისგან. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობის საკითხი განსხვავდება საავტორო სამართლით მოწესრიგებული არაქონებრივი უფლებების წარმოშობის საკითხისაგან და სხვ.⁷⁵

პირადი არაქონებრივი უფლებები მოწესრიგებულია სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტებთან ერთად კოდექსის ზოგადი ნაწილის სპეციალური თავით და სწორედ აქ ვლინდება ამ უფლებათა ძირითადი ნიშნები: უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს არ გააჩნიათ ეკონომიკური (ქონებრივი) შინაარსი, მათი შეფასება და ფულად ღირებულებაში გამოხატვა შეუძლებელია; და მეორე, პირადი არაქონებრივი უფლებები განუხრელად არიან დაკავშირებულნი ამ უფლებათა მატარებელ სუბიექტებთან ერთად, რაც ნიშნავს, რომ ამ უფლებათა გასხვისება არანაირი საფუძვლით არ დაიშვება. საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა (მუხლი 18) საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით (მუხლი 7) გააფართოვა პირადი არაქონებრივი უფლების ობიექტთა წრე პირადი ცხოვრების საიდუმლოებით, პირადი ხელშეუხებლობით, საქმიანი რეპუტაციით და ასევე შემოიღო ამ უფლებათა დაცვის დამატებითი საშუალებები, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ 1964 წლის კოდექსის მიხედვით დარღვეული პატივისა და

⁷⁴ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 228.

⁷⁵ ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 18 მ. <http://www.gccc.ge/> [01.12.2019].

ღირსების დაცვის ერთადერთი საშუალება სიმართლესთან შეუსაბამო გავრცელებული ცნობების უარყოფა იყო, დღეს პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ამ მოქმედებით მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.⁷⁶

დასავლეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში სასამართლო პრაქტიკის შედეგად დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსმა საკანონმდებლო წესით განამტკიცა ბევრ ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია) მხოლოდ სამოსამართლო სამართლის შედეგად შექმნილი ინსტიტუტი პირადი არაქონებრივი უფლებების სახით. შესაბამისად, ისინი კანონმდებელმა სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში ასახა კიდევ. თუმცა დელიქტურ სამართალში გამოჩნდა ფუძემდებლური ნორმები, რომლებიც პირადი უფლებების დაცვის განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლევა, სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 993-ე მუხლებზე დაყრდნობით. საქართველოში სწორედ ევროპული გამოცდილების გაზიარებით პირადი არაქონებრივი უფლებების ჯერ აღიარება, შემდეგ კი მისი დაცვა სამოქალაქო სამართალში განპირობებული იყო იმის გაცნობიერების აუცილებლობით, რომ ადამიანი არის არა მხოლოდ სიმდიდრის შემქმნელი, არამედ არსება, რომელსაც ღირსება აქვს.⁷⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება: სახელის უფლება, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია, უფლება პირის გამოსახულებაზე. აგრეთვე, პირად არაქონებრივ უფლებებს მიეკუთვნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, პირის თავისუფალი გადაადგილების უფლება და სხვა.⁷⁸

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი და აბსოლუტური უფლებაა, რომლის გასხვისება და სხვა პირებზე გადაცემა დაუშვებელია, ხოლო სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემა სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით დასაშვებია.⁷⁹

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში სახელის უფლების დარღვევის ორ შესაძლო ვარიანტზეა საუბარი. პირველი ის შემთხვევაა, როცა სამართალდამრღვევი უარყოფს დაზარალებულის სახელის კუთვნილებას და ამა თუ იმ ურთიერთობებში მას სხვა სახელით მოიხსენიებს. სახელის უფლების ამგვარი დარღვევის შემთხვევაში უფლების დაცვის მიზნით

⁷⁶ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 209.

⁷⁷ მ. ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, თბ., „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017 წ. 8-9.

⁷⁸ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 209-210.

⁷⁹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2011 წ. 199-201.

დაზარალებული უნდა შემოიფარგლოს კუთვნილი სახელის აღიარების მოთხოვნით და შესაბამისად სამართალდამრღვევს უნდა დაევალოს, მოსარჩელე (დაზარალებული) მისი კუთვნილი სახელით მოიხსენიოს. სახელის უფლების დარღვევის მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა სამართალდამრღვევი დაზარალებულის ნებართვის გარეშე სარგებლობს ამ უკანასკნელის სახელით.⁸⁰

პატივი და ღირსება სოციალური ფილოსოფიის კატეგორიაა, რომლებსაც სამართალი მათი დაცვის უზრუნველსაყოფად იყენებს. ადამიანის, როგორც ინდივიდს დამოკიდებულება საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან და პირიქით, საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტული პირის მიმართ, აყალიბებს საერთო შეხედულებას სოციალური ღირებულებებისადმი ამ პირის დამოკიდებულების შესახებ. ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნულობის განცდა და თვითშეფასება (ღირსება) პირდაპირ კავშირშია მის შესახებ არსებულ საზოგადოებრივ შეხედულებასთან (პატივთან).⁸¹

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა, პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად დაზარალებული უფლებამოსილია, დარღვეული უფლების დაცვა მოითხოვოს სასამართლოს წესით. უფლების სასამართლო წესით დაცვისათვის საჭიროა შემდეგი საფუძვლების არსებობა: 1. ფიზიკური ან იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი, 2. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები საჯაროდ არის გავრცელებული და 3. გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების შემთხვევაში დაზარალებულის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა სინამდვილესთან შეუსაბამო გამაწილებელი ცნობების უარყოფა. გავრცელებული ცნობების უარყოფა, როგორც დარღვეული უფლების აღდგენის საშუალება, უნდა დაეკისროს მოპასუხეს. სასამართლოში სარჩელის შეტანამდე პირს, რომლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოხდა, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში, მაგრამ თუ რედაქციამ დაზარალებულის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ამ უკანასკნელს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით დაიცვას ეს უფლებები. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში მითითებულია აგრეთვე ისეთი არამატერიალური სიკეთეების დაცვაზე, როგორიცაა პირადი ცხოვრების საიდუმლოება

⁸⁰ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 213-214.

⁸¹ ზ. ძლიერიშვილი და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 666.

და პირადი ხელშეუხებლობა. პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ცნობები, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებისაგან განსხვავებით, სინამდვილეს შეესაბამება, ამიტომ დაზარალებული დაინტერესებულია არა მისი პირადი ცხოვრების საიდუმლო ფაქტების უარყოფით, არამედ ამ ფაქტების გახმაურებისაგან დაცვით. ამიტომ ამ უფლებათა დაცვის სამართლებრივი საშუალება შეიძლება იყოს სამართალდამრღვევისათვის უფლების შემლახველი მოქმედების აღკვეთის დაკისრება; უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.⁸²

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის დამოუკიდებელ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს ასევე უფლება საკუთარ გამოსახულებაზე. გამოსახულების ქვეშ იგულისხმება მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, ინდივიდის გამოსახულება კინოფილმში, ტელეგადაცემაში, თუ ვიდეო ფილმში, სადაც მისი გარეგნული იერის შეცნობა შეიძლება.⁸³ რაც შეეხება სხვა პირად არაქონებრივ უფლებებს, ამასთან დაკავშირებით მოცემული ნაშრომის შემდეგ ქვეთავში ვისაუბრებთ, როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურებას განვიხილავთ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის.

4.2. მორალური ზიანის ანაზღაურება პირადი არაქონებრივი

სიკეთის ხელყოფისათვის

მორალური ზიანის ინსტიტუტი ქართულ სამოქალაქო სამართალში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსით იქნა დამკვიდრებული. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მორალური ზიანის ანაზღაურება მიუღებელი იყო. ამის საფუძვლად მოჰყავდათ არგუმენტი, რის მიხედვითაც საბჭოთა ადამიანის პიროვნულობა ისეთ მაღალ დონეზე იყო ასული, რომ მისი ფულადი შეფასება არ შეიძლებოდა. საქართველოში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი საბოლოოდ დადებითად მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა გადაწყვიტა. მორალური ზიანის დეფინიციას საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მორალური ზიანის ცნებასთან დაკავშირებით ავტორთა ერთსულოვნება სუფევს. პროფესორი შ. ჩიკვაშვილი წერს: მორალური ზიანის შინაარსია ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრამვა, რომელსაც ფულადი

⁸² დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 214, 218-219, 221.

⁸³ თ. ნინიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2002 წ. 65.

ეკვივალენტი არ მოეძებნება. პროფესორი თევდორე ნინიძის განმარტებით მორალური ზიანის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. მორალური ზიანი შესაძლოა სხვადასხვა სიმძიმის იყოს - დაწყებული მორალური დარღვევებით, რომელიც თავს ატყდება ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ არ ბღალავს მისი სირცხვილის გრძნობას, დამთავრებელი სულიერი ტკივილებით, რომლებიც შესაძლოა მისი ფიზიკური დაუძლურების ან ფსიქიკური აშლილობის საფუძველი შეიქმნეს. არაქონებრივი ზიანი მორალური ზიანის იდენტურია. ეს უკანასკნელი გამოთქმა უფრო მისი შინაარსობრივი გამოხატველია. იგივე მორალური ზიანის იდენტურია „ფსიქოლოგიური ზიანი“, რაც გამოიყენება საერთო სამართლის ქვეყნებში. ყველა შემთხვევაში მათი შინაარსი ერთნაირია. მორალური ზიანი უნდა გულისხმობდეს „ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას“, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით. მორალური ზიანისათვის დამახასიათებელი ეს ორი ელემენტი - სულიერი და ფიზიკური ტანჯვა (ტკივილი), აღიარებულია არა მხოლოდ სამეცნიერო წრეების, არამედ ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებითაც.⁸⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლმა არამატერიალური და არაქონებრივი ზიანის აღმნიშვნელ ტერმინად „მორალური ზიანი“ განამტკიცა და მიუთითა, რომ ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში მისი მოთხოვნა შესაძლებელია მატერიალური ზიანისაგან დამოუკიდებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების კერძო შემთხვევას ითვალისწინებს 413-ე მუხლი. ეს ნორმა ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს პირს, ვის ჯანმრთელობასაც ზიანი მიადგა მოვალის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად.⁸⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრინციპებს განსზღვრავს, რომელიც გულისხმობს, რომ იგი უნდა ანაზღაურდეს ფულადი ფორმით, სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით; არამატერიალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად. იგი ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, არამატერიალურ ზიანთან ერთად დადგა თუ არა ქონებრივი ზიანი და ეს უკანასკნელი ანაზღაურდება თუ არა. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმებს: არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ მოიაზრება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ საჯაროსამართლებრივი ნორმებით

⁸⁴ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 229-231.

⁸⁵ ზ. ძლიერიშვილი და სხვები, სახელმეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 664-665.

გათვალისწინებული შემთხვევებიც. ეს ნორმა გამორიცხავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თუ კანონით პირდაპირ არ არის ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება დადგენილი. ამდენად, თუ ნორმაში აღნიშნულია „ზიანის ანაზღაურების“ შესახებ და პირდაპირ არაა მითითებული არაქონებრივი ზიანის კომპენსირების შესაძლებლობა, იგულისხმება, რომ უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი. საქართველოს კანონმდებლობაში კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, არამატერიალური ზიანის ანაზღაურება სწორედ იმას გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა) ხელყოფის და მნიშვნელოვანი არაქონებრივი ზიანის არსებობის შემთხვევაში იძლევა კანონმდებლობა მისი ანაზღაურების შესაძლებლობას. ფაქტობრივად, ამით კანონმდებელმა გამოიწვია არსებითი და არარსებითი ზიანი. არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება, თუ ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.⁸⁶

არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს რა, სპეციფიკურ მოვლენას, შეუძლებელია ანაზღაურება სრულ კომპენსაციას ისახავდეს მიზნად. მოცემულ შემთხვევაში კომპენსაცია მიმართულია ტკივილების შემსუბუქებისაკენ. რაც შეეხება, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს, ისინი უნდა გამოიხატოს სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური პასუხისმგებლობის ეს სახე. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სამი ფუნქცია აქვს: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. ამ ფუნქციათა კომბინაცია არის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ერთიანი მიზანი, რომელიც არაქონებრივი ზიანის ფულად ანაზღაურებაში უნდა აისახოს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რაც შეუძლებელია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა.⁸⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული სიკეთეების - პატივის, ღირსების, სახელის უფლების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის, პირის თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების გამოქვეყნების უფლების ხელყოფის შემთხვევაში ამ უფლებათა დაცვა ანუ დასახელებული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, განხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, ხოლო თუ კანონით დაცული ეს სიკეთეები დაირღვა ხელმყოფის ბრალეული (განზრახი ან

⁸⁶ მ. ბიჭია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2016 წ. 102-103.

⁸⁷ იქვე დასახელებული ლიტერატურა, 104.

გაუფრთხილებელი) მოქმედებით, რამაც დაზარალებულს მორალური ზიანი მიაყენა, ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იქნება მორალური ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვოს.⁸⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ შემთხვევად დასახელებულია სხეულისა და ჯანმრთელობის ხელყოფა. უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე, თავის მხრივ, განიხილება პირად არაქონებრივ უფლებად, რომელიც უკავშირდება ჯანმრთელობის უფლებას. თვით ჯანმრთელობაზე უფლება აბსოლუტური უფლებაა და მას შეესაბამება ამ უფლების დამრღვევთა თავშეკავების მოვალეობა. ჯანმრთელობის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის მექანიზმია გამყარებული სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება იურიდიული ფაქტია, რომელიც წარმოშობს იურიდიულ შედეგებს, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მოვალეობას.⁸⁹

სხეულისთვის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების დროს დაზარალებულს წარმოეშობა როგორც ქონებრივი (408-ე მუხლი), ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება (413-ე მუხლი). თუ ამ სიკეთის ხელყოფას შედეგად მოჰყვა შრომის უნარის წართმევა ან შემცირება ან კიდევ მოთხოვნილებების გაზრდა, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, ცხადია, ჯანმრთელობის ყოველი შელახვა იმთავითვე არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. არამატერიალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და ამან გამოიწვია სულიერი, ფსიქიკური ტანჯვა, ეს წინაპირობები კი, კუმულაციურად უნდა არსებობდეს. არაქონებრივი ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, თუ ქონებრივი ზიანის გამო წარმოშობილ სულიერ ტანჯვას მოჰყვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. სხეულის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში უნდა მოიაზრებოდეს ისეთი ზემოქმედება, რომელიც ადამიანის სხეულს ან ადამიანის ორგანიზმის შინაგან პროცესებს ხელყოფს. ამდენად, არაქონებრივი ზიანი უნდა ანაზღაურდეს ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის დროს (და არა ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვის საფუძველზე ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე).⁹⁰

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე მოპასუხისაგან

⁸⁸ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 236.

⁸⁹ მ. ბიჭია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2016 წ. 104.

⁹⁰ მ. ბიჭია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2016 წ. 104-105.

მოითხოვდა ხანძრის შედეგად ქონების განადგურებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას. პალატამ განმარტა, რომ საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები და ამ ფაქტორებით გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესება, არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ნორმა გავრცელდებოდა ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე.⁹¹

სხეულის დაზიანებისათვის ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ანიჭებს პირს, ვინც უშუალოდ განიცადა სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის მოშლა. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო წრეებში ჩნდება კითხვა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში როცა ჯანმრთელობის მოშლა ახლობლის სიკვდილით არის გამოწვეული? პროფესორი შალვა ჩიკვაშვილი თვლის, რომ საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. შვილის გარდაცვალება მშობელში აღძრავს სულიერ ტანჯვას, დაირღვევა მისი კეთილდღეობა და ე.ი. ირღვევა მისი უფლება ჯანმრთელობაზე, რაც შესაბამისად ბადებს მორალური ზიანის კომპენსაციის უფლებას. თავისთავად ის ფაქტი, რომ შვილის გარდაცვალება მშობელს ან პირიქით, მშობლის გარდაცვალება შვილს სულიერ ტანჯვას განაცდევინებს, ალბათ, დავას არ უნდა იწვევდეს. სადავოა მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ახლობლის სიკვდილით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ პროფესორ შალვა ჩიკვაშვილის მოსაზრებას გარდაცვლილის ახლობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.⁹²

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად ხელმყოფის მიმართ შეიძლება პასუხისმგებლობის სხვა ფორმებიც იყოს გამოყენებული. კოდექსის მე-18 მუხლით დაცული სიკეთეების დარღვევის შედეგად ხელმყოფს ეკისრება ამავე ნორმით გათვალისწინებული არაქონებრივი ხასიათის პასუხისმგებლობები (მაგალითად, ხელშემლის შეწყვეტა); ქონებრივი ზიანის მიყენებისას - ქონებრივი ზიანის ანაზღაურება და მორალური ზიანის ანაზღაურება. პასუხისმგებლობის ყველა ეს საშუალებები დამოუკიდებლად იქნება გამოყენებული და ამიტომ

⁹¹ იხ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-1156-1176-2011.

⁹² დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 238-239.

მორალური ზიანი ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მის მოცულობას აღმატებოდეს ან მასზე ნაკლებიც იყოს.⁹³

არანაკლები მნიშვნელობით გამოირჩევა მორალური ზიანის ოდენობისა და მოცულობის განსაზღვრის საკითხი, რომლის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიც უკვე განვიხილეთ. სასამართლო პრაქტიკა მორალური ზიანის მოცულობის განსაზღვრისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეთა მატერიალურ მდგომარეობას. მართალია, მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უპირველესად მოწოდებულია, რათა ადამიანის ფსიქიკაში ზიანით გამოწვეული ნეგატიური ცვლილებები დადებითი ემოციებით შეცვალოს, მაგრამ მნიშვნელოვანია ასევე, რომ მორალური ზიანის მოცულობის არაგონივრულმა და უსამართლო გადაწყვეტამ დაზარალებულის ან დელინკვენტის ოჯახი მატერიალურად უმწეო მდგომარეობაში არ ჩააყენოს. შესაბამისად, მორალური ზიანის მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე მხარის ქონებრივი მდგომარეობა. მოპასუხისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის დაკისრებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დელინკვენტის გადახდისუნარიანობის რეალური შესაძლებლობები.⁹⁴

საინტერესოა ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის განმარტება ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე, რომელიც დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ეხებოდა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული. სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ რაოდენ დიდი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა მიაყენა რაიმე ქმედებამ დაზარალებულს.⁹⁵ და მაინც, ქართული სასამართლო პრაქტიკა დიდი სიფრთხილით ეკიდება მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების საკითხს და ცდილობს მაქსიმალურად შეზღუდოს თანხის ოდენობა. ვინაიდან, მოსარჩელის ფანტაზია მორალური ზიანის თანხობრივ ეკვივალენტთან დაკავშირებით შესაძლოა საკმაოდ შორს წავიდეს.⁹⁶

⁹³ იქვე დასახელებული ლიტერატურა, 240.

⁹⁴ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 241-242.

⁹⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-95-90-2013.

⁹⁶ ზ. ძლიერიშვილი და სხვები, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014 წ. 673.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირადი არაქონებრივი სიკეთის ხელყოფით წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურებას ხელმყოფის ბრალეულ მოქმედებას უკავშირებს. თუ პირადი არაქონებრივი სიკეთის დარღვევა გამოწვეულია ხელმყოფის ბრალეული მოქმედებით, დაზარალებული უფლებამოსილია, მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც. მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და არც სხვა საკანონმდებლო აქტში პირდაპირ არაფერი წერია იმ შემთხვევაზე, როცა ხელმყოფს ბრალი არ მიუძღვის მორალური ზიანის დადგომაში. ეს ის შემთხვევაა, როცა სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისათვის კანონმდებლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობას აწესებს ბრალის გარეშე. სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას ადამიანის სიკვდილი, სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის მოშლა მოჰყვა, მაშინ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი ბრალის მიუხედავად. იგივე წესია დადგენილი კოდექსის მე-1000 მუხლით. კერძოდ, თუ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მიწოდებული ან მოთავსებული ენერჯისაგან, რასაც მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის მოშლა, ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ნაგებობის მფლობელს დაეკისრება ბრალის გარეშე. იგივე პრინციპი მოქმედებს უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის მიმართაც. შესაბამისად, თუ აღნიშნულ გარემოებებში სხეულის დაზიანებამ და ჯანმრთელობის მოშლამ დაზარალებულში მორალური ზიანიც გამოიწვია, მისი კომპენსაციაც უნდა მოხდეს ხელმყოფის ბრალის მიუხედავად. ამიტომ ამ შემთხვევაში ხელმყოფის ბრალეული მოქმედება მორალური ზიანის მოცულობაზე რამე გავლენას ვერ მოახდენს. სხვა შემთხვევაში როცა ბრალი მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებელი პირობაა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო მაღალია ხელმყოფის ბრალის ხარისხი, მით უფრო დიდია მორალური ზიანის მოცულობა.⁹⁷

⁹⁷ დ. სუხიტაშვილი, თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016 წ. 242-243.

თავი V კვლევის შედეგები

მოცემულ კვლევაში განხილული საკითხები სამართლის მეცნიერებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. პირველ რიგში, ვიდრე კვლევის შედეგებზე ვისაუბრებთ, უნდა აღინიშნოს თუ ზოგადად, რა საკითხები იქნა განხილული და გაანალიზებული. ესენია: პასუხისმგებლობის ფორმები ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებში. თუმცა, მთავარი საკვლევი თემატიკა ქონებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობის ძირითადი ფორმის, ზიანისა და ზარალის გამიჯვნის პრობლემა და ანაზღაურების საფუძვლებია.

როდესაც ზიანისა და ზარალის გამიჯვნის პრობლემასა და ანაზღაურების საფუძვლებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ზიანისა და ზარალის ლეგალურ დეფინიციას კანონმდებლობა არ იძლევა. სასამართლო გადაწყვეტილებებსა და აკადემიურ ნაშრომებში თუ შევხვდებით მის განმარტებას, ისიც მხოლოდ შინაარსის დონეზე. ტერმინების „ზიანისა“ და „ზარალის“ მნიშვნელობასთან ერთად, მათი ურთიერთდამოკიდებულება და გამიჯვნის საკითხიც მოუწესრიგებელია. თუმცა, მათი შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია იმის თქმა, რომ ზიანი ქონების ნატურალური ფორმით აღდგენაა, ხოლო ზარალი ზიანის ანაზღაურების ფულადი კომპენსაცია. ორივე ერთად აღებული კი ზიანის ანაზღაურების საშუალებებს წარმოადგენს და კანონმდებელი მათ რიგითობასაც განსაზღვრავს. როდესაც ზიანის ნატურალური ფორმით აღდგენა შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება მისი ფულადი კომპენსაცია. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ზარალის შემადგენლობაც, რომელიც რეალურ ზარალს (ზიანის ნატურით ანაზღაურება და ფულადი კომპენსაცია) და მიუღებელ შემოსავალს მოიცავს. სწორედ, აქ იკვეთება მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ზიანი, როგორც ქონების ნატურალური ფორმით აღდგენა, რომელიც კანონმდებლობაში ზიანის ანაზღაურების ცალკე კატეგორიად განიხილება, ზარალის შემადგენლობაშია მოქცეული და რეალურ ზარალს წარმოადგენს. შესაბამისად, ადვილად მისახვედრია ის ფაქტი, რომ ზარალი უფრო ფართო მნიშვნელობის არის, ვიდრე ზიანი, როგორც ცალკე აღებული ანაზღაურების კატეგორია.

გარდა ზემოთ თქმულისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი შესაძლებლობას გვაძლევს რეალური ზარალი და მიუღებელი შემოსავალი ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ და შესაბამისად, ზიანისა და ზარალისაგან განსხვავებით მიუღებელი შემოსავლის ლეგალური განმარტება ვიხილოთ. აქედან გამომდინარე, მიუღებელი შემოსავლის კანონმდებლობის დონეზე განმარტება ზარალის არსის გარკვევასა და მასზე სრული წარმოდგენის შექმნაში გვეხმარება.

აღსანიშნავია 1964 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც ზარალის მნიშვნელობას დღეს მოქმედი კოდექსისაგან შედარებით განსხვავებულად აწესრიგებდა. კერძოდ, რეალურ ზარალად არ განიხილავდა იმ ფულად სახსრებს, რაც კრედიტორს სჭირდებოდა მომავალში დარღვეული უფლების აღსადგენად. დღეს აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით უკვე გამოსწორებულია. შესაბამისად, მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ზარალის სრული ანაზღაურების ანუ სრული პასუხისმგებლობის პრინციპი შემოგვთავაზა. აქვე უნდა აღინიშნოს, პასუხისმგებლობის ნატურით შესრულების პრინციპიც, რომელიც მოვალეს ავალდებულებს მიყენებული ზიანი პირვანდელ მდგომარეობაში აღადგინოს. ანალოგიურ სამართლებრივ მოწესრიგებას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც. თუმცა, ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ფულადი სახით შეიძლება. მაგრამ, გერმანული სამართალი გამონაკლის შემთხვევებსაც ითვალისწინებს, როცა საწყისი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად, დაზარალებული უფლებამოსილია ფულადი ანაზღაურება მოითხოვოს. მაგალითად, როცა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ან არასაკმარისია და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ქართული და გერმანული კანონმდებლობა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, თითქმის ერთნაირ სამართლებრივ რეგულირებას ახდენენ.

ცალკე მსჯელობის საგანია ზიანისა და ზარალის მოცულობის განსაზღვრა. როგორც ნაშრომში საკითხის კვლევისას ვნახეთ, ზიანის ოდენობის დასადგენად აბსტრაქტული ზიანის ცნებას გამოიყენებენ, რომელიც იმ სხვაობის სახით გამოითვლება, რაც შესრულების სახელშეკრულებო ფასს და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის არსებობს. ზიანის ოდენობის დასადგენად ითვალისწინებენ ასევე ხელშეკრულების შესრულების დროსა და ადგილს. რაც შეეხება ზარალის მოცულობის განსაზღვრას, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ვალდებულების შესრულების დროს მოქმედები ფასები.

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას პრობლემას წარმოადგენს ასევე ქონებრივი ზიანის არაქონებრივისაგან განსხვავება. ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა დაზარალებულის ინტერესს ენიჭება. ხოლო თუ, ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასთან გვაქვს საქმე, დამატებით უნდა გავითვალისწინოთ ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილიც. საბოლოოდ, ეს კრიტერიუმები გამიჯვანდი არ არის, ამიტომ ერთიან პრინციპს - დაზარალებულის ინტერესს ვიყენებთ. აქვე შეიძლება ვახსენოთ არაქონებრივი ზიანის მოცულობის განსაზღვრის საკითხიც, რასთან დაკავშირებითაც სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვან განმარტებებს გვთავაზობს. პირველ რიგში, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება გონივრული და სამართლიანი უნდა იყოს. ე.ი. ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი, ის უნდა

გამომდინარეობდეს მხარის მატერიალური მდგომარეობიდან. სწორედ, რომ ეს იგულისხმება ანაზღაურების სამართლიანობასა და გონივრულობაში.

ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებას ვხვდებით არაქონებრივ ურთიერთობებშიც. როდესაც პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფას აქვს ადგილი. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო კოდექსის მიერ საკანონმდებლო წესით გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მსგავსად, სასამართლო პრაქტიკის შედეგად დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით, განმტკიცებული იქნა პირადი არაქონებრივი უფლებების ინსტიტუტი. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ზიანისა და ზარალის მსგავსად, მორალური ზიანის ანაზღაურების დეფინიციასაც არ იძლევა. თუმცა, მეცნიერ-პროფესორთა შეხედულებებისა და განმარტებების შეჯერებით, ასევე სასამართლო პრაქტიკაში არსებული განმარტებების საფუძველზე, მორალური ზიანის შინაარსის დადგენა შესაძლებელია. ცალკე უნდა გამოვეყოთ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით გამოწვეული ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების საფუძვლებიც. ამ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძვლებს ვიყენებთ. უმთავრესი საფუძველია თავად ქონებრივი ზიანის არსებობა. საფუძვლებში უნდა მოვიხსენიოთ ასევე მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. რაც შეეხება არაქონებრივ (მორალურ) ზიანს, იგი ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად ანაზღაურდება.

ზემოთ თქმულის გარდა, კვლევის შედეგებში აუცილებლად უნდა ვახსენოთ ქონებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობის სხვა ფორმებიც. მაგალითად, პირგასამტეხლო, რომლის მრავალმხრივი განმარტება გაურკვეველ და ჩიხურ მდგომარეობას ქმნის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში იგი მოწესრიგებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების სპეციალურ თავში და თითქოს მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება, გასხვავებით რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსისა, რომელიც პირგასამტეხლოს ორგვარ დანიშნულებას ხაზს უსვამს, რადგან მას განიხილავს როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ასევე პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. ქართულ სამოქალაქო კოდექსში კი აღნიშნული არ არსებობს. თუმცა, აქაც აშკარად ნათელია პირგასამტეხლოს ორგვარი ბუნება და დანიშნულება. იგივე ორგვარი დანიშნულება შეიძლება ვახსენოთ ბესთან მიმართებაშიც, როდესაც კანონმდებელმა ბე რამდენიმე ფუნქციით აღჭურვა. ერთი მხრივ, იგი გვევლინება მხარეთა კონსესუსის შედეგად დადებული ხელშეკრულების ნიშნად, და მეორე მხრივ, იგი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქციას ითავსებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა მართებული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ბე მხოლოდ ფულად ოდენობაში განსაზღვრა, განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, სადაც ბე არა მხოლოდ ფულადი თანხით, არამედ

არამატერიალური ქონებრივი სიკეთით შეიძლება განისაზღვროს, რაც ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თვითონ ბეს დაბრუნების ვალდებულების შესრულებას შეიძლება შეუქმნას საფრთხე. კანონმდებელს სწორედ ამ სირთულის თავიდან აცილება სურდა, როცა ბე მხოლოდ ფულად ოდენობაში განსაზღვრა და არა ისე, როგორც ამას გერმანული სამართალი ითვალისწინებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს კანონმდებლობით ბეს შესახებ შეთანხმება რაიმე ფორმის დაცვას არ საჭიროებს, რაც თავისთავად პრაქტიკაში გარკვეულ სირთულებებს ქმნის, ვინაიდან საკმარისად ხშირია ბეს ავანსად წარმოჩენის მცდელობა და შემდეგ უკვე დღის წესრიგში დგება მათი გამიჯვნის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკამ თითქოს გამოსავალი იპოვა და ბეს შესახებ შეთანხმება წინარე ხელშეკრულებად მიიჩნია, მაინც პრობლემატურია ისეთი ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც ფორმის დაუცველად არის დადებული და შედეგად შესაბამისი დგება, რაც მათ ბათილობას გულისხმობს. აქვე, შეიძლება მოკლედ შევხებით ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პროცენტის გადახდევინების საკითხსაც, რომელიც ქონებრივ ურთიერთობებში პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. პასუხისმგებლობის აღნიშნულ ფორმას პრევენციული ფუნქცია აქვს და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის და სხვა ევროპული კოდექსების მსგავსად, პროცენტის ზღვრულ ოდენობას არ ადგენს და ზოგადი კრიტერიუმით განსაზღვრავს, რაც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს თვითონ განსაზღვრონ პროცენტის ოდენობა და ამ ოდენობის ფარგლებში აიღონ პასუხისმგებლობაც ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

დასკვნა

ამგვარად, როგორც დავინახეთ, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა სრულყოფილად არ აწესრიგებს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარ პასუხისმგებლობის ფორმებთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, აქ იგულისხმება ზიანისა და ზარალის გამიჯვნის პრობლემა და მისი ანაზღაურების საფუძვლები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსი ზიანისა და ზარალის დეფინიციას არ გავძლევს. შესაბამისად ეს ფაქტი უკვე, ერთი შეხედვით მათი გამიჯვნის დროს პრობლემას წარმოადგენს. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში მხოლოდ „ზიანის“ ტერმინს ვხვდებით და ბუნდოვანი რჩება ზარალის ანაზღაურების საკითხი. ამასთანავე, ზარალს ფართო მნიშვნელობას ანიჭებს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ზიანის ნატურით ანაზღაურებას და ფულად კომპენსაციას, რომელსაც რეალურ ზარალს უწოდებს, ზარალის შემადგენლობაში განიხილავს მიუღებელ შემოსავალთან ერთად. სწორედ ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ზუსტად დეტალურად მოწესრიგდეს ტერმინების დონეზე მათი განმარტების საკითხი. ასევე, ყოველი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა და შედეგი ბუნდოვანი იქნება, თუ მათი ზუსტი განმარტება და დეფინიცია არ გვექნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არც მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას გვთავაზობს. ამ შემთხვევაშიც, მისი არსისა და შინაარსის გაგებაში მეცნიერ-პროფესორთა განმარტებები და სასამართლო პრაქტიკა გვეხმარება, რაც თავისთავად ყოველთვის საკმარისი არ არის. სამოქალაქო კოდექსში მისი ლეგალური დეფინიციის არსებობა, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს, ასევე სასამართლოსაც შესაძლებლობას მისცემს, რომ ყოველთვის სამართლიანი პოზიცია და დამოკიდებულება ჰქონდეთ.

ზიანისა და ზარალის, არაქონებრივი (მორალური) ზიანის დეფინიციის არარსებობა ცალკე პრობლემას ქმნის მათი ოდენობის დადგენისას და განსაზღვრისას. მითუმეტეს, რომ სამოქალაქო კოდექსი ზიანისა და ზარალის მოცულობის ფარგლების მომწესრიგებელ ნორმას არ აწესებს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები. ამიტომაც, აუცილებელია ანაზღაურებადი ზიანის გამიჯვნა მოხდეს არაანაზღაურებადი ზიანისაგან და შესაბამისი ნორმაც დამკვიდრდეს სამოქალაქო კოდექსში.

სამართლებრივი რეგულირების სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე პირგასამტეხლო და ბე. ნაშრომში უკვე აღვნიშნეთ, რომ ორივე პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს და მათი ორგვარი დანიშნულება, ფუნქციაც საინტერესოა. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი

პირგასამტეხლოს მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად განიხილავს და მას პასუხისმგებლობის ფორმად არ მოიხსენიებს. ამ უკანასკნელის შესახებ მისი არსიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ. ამიტომ, თუ არსებობს იმის საფუძველი რომ, პირგასამტეხლო პასუხისმგებლობის ფორმად განვიხილოთ ვალდებულების შეუსრულებლობის დროს, შესაბამისად, მისი ამგვარი სახის ჩანაწერიც უნდა არსებობდეს სამოქალაქო კოდექსში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრებისა და შემცირების საკითხიც. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს თუ რა იგულისხმება შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემთხვევაში, სწორედ ამიტომ იგი, სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს მტკიცებულებებისა და მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, დაადგინოს რა არის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და, თუ საფუძველი არსებობს იგი შეამციროს კიდეც. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაინც სწორი პოზიცია იქნება თუ მისი განმარტებაც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მოხდება და, მხარე სრულად დამოკიდებული არ იქნება სასამართლოზე.

რაც შეეხება ბეს, მისი ფორმდაუცველობა პრაქტიკაში ყოველთვის სირთულეებს ქმნის. ამიტომაც, ამ სირთულეების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნება თუ სამოქალაქო კოდექსი, ბეს შესახებ შეთანხმებისას ფორმასავალდებულებო მოთხოვნებს დააწესებს, როგორც ეს პირგასამტეხლოს შემთხვევაშია.

გარდა ზემოთ თქმულისა, აუცილებელია ორიოდე სიტყვით შევეხოთ პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ პირობას - ბრალს, რომლის განმარტების შესახებაც სამოქალაქო კოდექსში არაფერი გვხვდება. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი ბრალს არ განმარტავს და ყურადღებას მხოლოდ მის ფორმებზე (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) ამახვილებს. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისას ბრალს სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული ბრალის მიხედვით განსაზღვრავენ. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მოწესრიგებას იმსახურებს. მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალში ბრალის განმარტება მოხდეს საკანონმდებლო დონეზე და იგი გაიმიჯნოს სისხლის სამართალში არსებული ბრალისაგან.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს სასამართლო პრაქტიკის დამსახურება, მაშინ როდესაც კონკრეტული სამართლებრივი ნორმა ბუნდოვანია და შესაბამის განმარტებას საჭიროებს. სწორედ რომ, სამოსამართლო სამართალი და სასამართლო პრაქტიკის შედეგად დაგროვებული გამოცდილება ეხმარება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს, ასევე სამართლის სფეროში მოღვაწე ადამიანებს შეავსონ ის საკანონმდებლო ხარვეზები რაც არსებობს. თუმცა, თვითონ კანონმდებლის ნებაც უნდა არსებობდეს, რომ ხარვეზების არსებობის შემთხვევაში დროულად მოძებნონ მათი აღმოფხვრის გზები და თავისი წვლილი შეიტანოს სამოსამართლო სამართლის განვითარებაში.

ბიბლიოგრაფია

მონოგრაფიები

1. ახვლედიანი ზ., „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., გამომც. „სამართალი“, 1999;
2. ბიჭია მ., „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი“, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2016;
3. ბიჭია მ., „პირადი უფლებების ხელყოფისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან“, თბ., „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017;
4. ბილინგი ჰ., ლუტინგჰაუსი პ., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლის სისტემური ანალიზი“, ბრემენი-თბილისი, გამომც. „სიესტა“, 2004-2009;
5. ზოიძე ბ., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი მესამე, თბ., გამომც. „სამართალი“, 2001;
6. თოდუა მ., ვილემსი ჰ., „ვალდებულებითი სამართალი“, თბ., ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006;
7. კროპჰოლერი ი., „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“, თბ., 2014;
8. მესხიშვილი ქ., „პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა)“, ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, თბ., მე-3 გამოცემა, 2014;
9. ნინუა ე., „პასუხისმგებლობა და მისი თავისებურებანი ერთობლივ საქმიანობაში“, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010;
10. ნინიძე თ., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2002;
11. რუსიაშვილი გ., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი“, 2017;
12. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016;
13. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია“, თბ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30), 2011;
14. ქოჩაშვილი ქ., „ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“, თბ., „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009;

15. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., „სახელმწიფო სამართალი“, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;
16. ჭანტურია ლ., „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012;
17. ჭანტურია ლ., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., გამომც. „სამართალი“, 2011;
18. ჯორბენაძე ს., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი“, 2017;

უცხოური ლიტერატურა

19. Брагинский М.И. Витранский В.В., Договорное право, Книга первая, Общие положения, Издание 3-е стереотипное, Книги 1-5, Москва, 2000-2006ж

სასამართლო პრაქტიკა

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება ას-459-438-2015;
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება ას-1451-1371-2017;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება ას-1156-1176-2011;
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება ას-95-90-2013;

ნორმატიული აქტები

24. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2019;

ვებ. გვერდები

25. <https://matsne.gov.ge/>
26. <http://www.supremecourt.ge/>
27. <http://www.gccc.ge/>
28. <https://alleng.org/>